

K 214 954
3

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ


ՅԱԿԱՎԱՐ

ԵՐԵՎԱՆ

ՀԵ ՁԱՌԱՐ

ՀԱՅԱՍՏԱՆ • ԽԱՌԵՄԱՆ





რედაქტორი
გ. გ. გ. გ. გ.



26

გ. გ. გ. გ.

დ. ხელაძის გამოცემა

3 5 0 % 0.

1984.

8C5-4



63.3(2)Gamma
θ 453


රෝගීකරණ තාක්ෂණ පොකුණවලටයාම



4702017200-105
θ 604(08)- 90

(C) ශ්‍රී ලංකා ප්‍රජාත්‍නෑසි මධ්‍යම මණ්ඩල

ජාතික සේවක මණ්ඩල



ე ი დ ღ 3 6 3

მუხლმოყრილი, მოწიწებით უძღვნი ამ
ჩემს მოვონებას—სულიერ განცდას—
კრწანისის ველზე თავდადებულ მამუ-
ლიშვილთა ხსოვნას.

ვლასა მგელაძე
(+ 1943 ლიკილი)

K' 214. 954
3

პრანისის ველს

* * * * * * * * * * * * * * *
* * * * * * * * * * * * * * *
...მამების კუბო სამარადისოდ
შვილების აკვნად აქ ნათეხია!

• გ ბ მ თ •

ოცდამათხი მაისი

(შრომის შეღწევის გამოღვიძება).

მამულიშვილნო, დიად თავისუფლებისათვის მებრძოლნო!

საქართველოს სამფეროვანი დროშა, რომელიც ჩვენს თავზე ცისარტყელისავით ელვარებს, საფრანგეთის დროშას პატარა დასავით გვერდში ამოსდგომია, მის ძლიერების ქვეშ საზეიმო დარბაზი დაუმშვენებია და თქვენი სახე გაუბრწყინებია. ეს დროშა ასი წლის წინეთ ქართველ ხალხს ხელიდან გავარდა კრწინისის ველზე, ერას სისხლით შეიღება და დროებით სამშობლოს თვალთავან მიეფარა...

სამოყვროდ მოსულმა რუსეთის თვითმპყრობელობამ, არამოცუარ დაგვეხმარა ტანჯულ სამშობლოს აღორძინებაში, არამედ ჭვეყანა ააოხრა, მდიდარი ტაძარ-მონასტრები დაძარცვა, ღირსეული მამულიშვილები დახოცა, ცოცხლები ციხე-ციმბირში გამოალპო, სამშობლო ენაზე განათლება და წირვა-ლოცვა აკრძალა, ჩვენი ცხოვრება ჯოჯონეთად აქცია, ერის სუვერენობა მოსპო...

გამწარებული ერი აჯანყდა, მთებში და ბარში რუსეთის წინა-აღმდევ ბრძოლა გაჩაღდა.. ეს ბრძოლა რუსეთის მთავრობამ სისხლის მორევში ჩააღრჩო, მზაკვრული პოლიტიკით, ცბიერებით, ღალატით ხალხი დაამშვიდა, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ვერ მოსპო...

მრავალ საუკუნეებში გამოცდილმა ქართველმა ერმა ბრძოლის ხერხი შესცვალა, აჯანყებებს დროებით თავი დაანება, სამოყვროდ მოსული მტრის ზნე-აღათის შესწავლას, ახალ ბრძოლის მზადებას შეუდგა..

ხალხი გარეგნულად დამშვიდდა, გონიერა მოიკრიბა, შრომისა

და ცოდნის შეძენას მიჰყო ხელი... აჯანყება — ბრძოლის ცეცხლი ჩა-
ხალხო ასპარეზით შეიცვალა, ერმა ახალი გმირები და ა შემარტველები
ლიშვილები წარმაშვა, რომელთაც ხალხის ახალ ცხოვრების გზახე
დარაუმებას შეუდგნენ....

ეს რომელი და მძიმე საქმე იკისრა ქართველი ერის სულიერი
სიძლიერის გამოხატველმა ქართველმა მწერლობამ. რომელიც ანა-
რეკლი სარკეა ჩვენი ცხოვრების, და ღირსეულათაც შეასრულა იგი.

სანამ მწერლები თავისი აზრის გამოხატულებას ხალხს ბეჭვ-
დითი საშუალებებით მიაწვდიდენ, ერის სულიერი ზრახვანი, მისა
უკეთილშობილები, მარადიული აზრები ზღაპრებით. ზეპირგადმო-
ცემებით თაობიდან-თაობაზე გადადიოდა, სამშობლოს სიყვარული
ერის გულში, ვითარცა კერიაზე ცეცხლი, ნელ-ნელა ღვივდებოდა...

როდესაც რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების მონაწილენი თვეო-
ანთ საგმირო უთანასწორო ბრძოლას. ხალხს ზამთრის ღამეში უამ-
ბობდენ, მე, შეშინებული, ბებიას კალთაში ვაფრინდებოდა. რუსს
როგორ ებრძოდნენ! პირდალებული, ჩოხატაურის „პუნტის“ მო-
ნაწილეთა — ოსია მეგრელაძეს, გაბრიელ ცინცაბაძეს — მივჩერე-
ბოდი...

კარგად ღიამახსოვრე, ბიძაა, ვაიზრდები, ვინ იცის ეგებ თქვენც
ჩვენებრ რუსებთან ჩხუბი მოგიშიოთო — ვეუბნებოდნენ ეს ხალხის
გმირები...

ეს წერა-კითხვის უცოდინარი მებრძოლნი ნამდვილი აღმზრ-
დელნი იყვნენ ჩვენი თაობის.. როცა ახალწელიშადს, ან ნათლა-
ლების, წყლის კურთხევის დროს, საყდრის გალავანში სადღესასწა-
ულოდ სახე გაბრწყინებული ხალხი გაიმლებოდა, „ჩოხატაურის
პუნტის“ მონაწილე ლრმა მოხუცებული გოგია (გიორგი) ვადაჭკო-
რია თავის სასახელო მაჭახელის თოფით ახალგაზრდებში ჩადგებო-
და: საითაა ბიჭებო, რუსეთიო, იყითხავდა და, როცა ჩრდილოეთის-
კენ მიუთითებდენ, მოხუცი ორთავე ხელით შემართულ თოფს ზე-
ვით ამართავდა, დაიძახებდა; რუსებს მოხვდა კავალ გულშიო, და
მისი „ყურშუმიც“ იჭექებდა, ხალხიც იქით სროლას დაიწყებდა..

ასეთი ამბებით, გადმოცემებით ხალხი სულდგმულობდა, ხორ-
ცაულად გატანჯული, სულიერად მაღლდებოდა, მისდა შეუგნებლად
სამშობლოს განთავისუფლებისათვის, მისი სამფეროვანი დროშის
ხილვისათვის ემზადებოდა...

ბატონ-ყორბის გადავარდნის შემდეგ ხალხი დაიძრა. ქალაქები

გამოცოცხლდა, ახალ ასპარეზზე გამოსულმა ინტელიგენციამ შენა-
განი ძალა იგრძნო, წელში ამაყად გაიმართა, მხნეობასა და გუბენი-
დულებას უმატა...

ეხლა მწერლობას გვერდში თეატრი ამოცდგა. ჩენი ცხოვრე-
ბის სურათები ხალხის წინ სცენაზე აიხატა! ერმა შექმნა თავისი
სულის ზრახვების გამომსახველი პიესები და სცენაზე სახალხოდ
დაიდგა „სამშობლო“, გამოჩნდა ერის სახოება — დიდება სამფე-
როვანი დროშა, რომლის ქვეშ ქულაჯაში გამოწყობილი მამული-
შვილები მუხლმოყრილი გალობდენ „დედავ ღვთისაო, ეს ქვეყანა
შენი ხვედრია“...

მაყურებლები ურუანტელმა აიტანა. თვალთაგან სიხარულის
ცრემლები სდიოდათ.. მთელი დარბაზი ზე წამოიჭრა, ლოცვა „გაუ-
მარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს ჩვენს დროშას“ ხმამ და ტაშის
ცემამ დაფარა!..

მე მთელი ტანით ვცახცახებდი, სიხარულის ცრემლებს ვაფრ-
ქვევდი, ხმამაღლა „გაუმარჯოს“ ვიძახოდი, სცენაზე გაშლილ საქარ-
თველოს დროშას მივჩერებოდი: მის ქვეშ ქულაჯაში გამოწყობი-
ლებში ოსია მეგრელაძე, გაბრიელ ცინცაბაძე და გიორგი ვადაჭკო-
რია — „ჩოხატაურის პუნტის“ გმირები მეჩვენებოდა!..

მთელი ღამე ოცნებაში გაგატარე: ნეტავ მართლა თუ ვავთავი-
სუფლდებით რუსებისაგან და ცხოვრებაში ვიხილავთ ცისარტყი-
ლასავით მშვენიერ სადიდებელ ჩვენს დროშას?!

არამც თუ სინამდვილეში ვერ ვიხილეთ ჩვენი დროშა, არამედ
რუსეთის მთავრობამ სრულიათ აკრძალა „სამშობლოს“ წარმოდგენა
და მით სცენაზედაც მოგვისპონ საყვარელი დროშის ხილვა....

მაგრამ რა მოსპობს ერთხელ გაღვიძებულ თავისუფლებისადმი
მისწრაფებას? აგერ საიდუმლოდ ხალხში ვაისმის აკაცი წერეთ-
ლის — „გლეხავ და ვლეხავ ხანჯალო, ფოლადო ხორისნისა“—ოს
კითხვა და ასობით იშერება და ვრცელდება... აგერ მამია გურიელი
სცენიდან ამბობს თავის შესანიშნავ „ფიცს“ და „ალავერდს“, მაგ-
რამ პოლიცია-ჯაშუშები ხალხს ბრძოლის ყიჯინის ხმას აწყვეტი-
ნებენ... ასპარეზი ცარიელი არ რჩება... მას ამშვენებს ერის საამაურ-
მოს არწივი „მოჩხუბარიძე“—ალექსანდრე ყაზბეგი და სატევარსა-
ვით მკვეთრი „შერცხვეს შენი სამართალი“—თ საზოგადოებას აკვირ-
ვებს, აოცებს, ლრმა ძილისაგან აღვიძებს...

ევროპაში და რუსეთში გაჩენილი ახალი მოძრაობა, თავა-

სუფლების სით საქართველოშიაც ჩნდება და მომავალი ჭგუფები და პარტიები ისახება.. ღირსეული მამულიშვილები, ღირსეული ში ახალი ფორმით ბრძოლას განაგრძობენ, ხალხს საკაცობრივ გზაზე წინ უძლევიან ძმობა, ერთობა, თავისუფლების დიადი მოწოდებით იღწვიან..

მამაკაცების გვერდით არსდება ქალთა წრე; ქართველ ქალს ყოველ დარგში თავისი ელფერი შეაქვს და თავის ძლიერ სულს შთაბერავს...

1857 წელს ქუთაისში მურზაყან (კონსტანტინე) და დეშელიანმა მოქლა გუბერნატორი გაგარინი და მისი მოხელეები. დადეშელიანი დახვრიტეს ნოემბერში 5-ს 1857 წელს. მურზაყანის ადგილ-მამული სახაზინოდ ჩაირიცხა, მისი ძმები და ცოლ-შვილი სვანეთიდან გადა-ასახლეს...

ამ გაბედულ პოლიტიკურ მკვლელობაზე ხალხი დიდხანს ლა-პარაკობდა, რუსეთის წინააღმდეგ. ლელავდა, მომავალ თაობას ამ-ბად აბარებდა..

საზოგადოებაში ხშირად იყო ლაპარაკი შამილის და რუსეთის ჯარის ოშეე. ხალხი აღტაცებული ისმენდა შამილის გმირული ბრძო-ლის ამბებს, ადიდებდა მის სიმხევეს, გასაოცარ ვაჟკაცობას, მრა-ვალ წლის განმავლობაში ვეებერთელა რუსეთის წინააღმდეგ საარა-კო, სასახელო ბრძოლებს. ბევრი ქართველი თვით იყვენ ამ ბრძო-ლების მონაწილენი და აღტაცებით იხსენიებდენ მთიელთა ვაჟკა-ცობას, პატარა ჯგუფების მიერ ხშირად მრავალ რიცხოვან რუსის ჯარის დამარცხებას... შამილის თვალტანადობას, მისი სახის მრის-ხანებას, მის საზღაპრო ცხოვრებას, მოხუცებულები ხალხს მოუთხ-რობდენ. ჩასაც დიდი აღმხრდელი მნიშვნელობა ქონდა მოზარდ თაობაზე... ხალხის აღტაცებული თანაგრძნობა შამილისა და თავი-სუფლებისათვის მებრძოლ მთიელთა მხარეზე იყო, რომლებიც არწივებით დაქროლავენ თავიანთ საყვარელ მთის კალთებში და შორიდან მოსულ უმრავ რუსის ჯარებს ანადგურებდენ...

აგრეთვე სიფრთხილითა და საიდუმლობით ლაპარაკობდენ საზოგადოებაში და აქა-იქ მოვკრავდათ ყურს თუ როვორ მოქლა მარიამ დელოფალმა რუსის თავხედი გენერალი ლაზარევი და ქებით იხსენიებდენ გურულ ვაჟკაცს იოთამ ბოლქვაძეს, რომელმაც პოლ-კოვნიერი პუზირევსკი სიცოცხლეს გამოასალმა გურიაში. გურიაში შეკრებილი საზოგადოება დღესასწაულზე, თუ ჯარიანიბაში თავ-



ზნად და მორილებით მიჩერებოდენ ლრმა მოხუცებულს, რუმინიულა
იც სკამზე იჯდა და ქორივით გამოხედვა ქონდა. შესანიშნებული კულტურული
კულტურის მქონე დათა გუგუნავას, რომელიც ოზურგეთის ციხეში.
შემწყვდებულ გურიის მოწინავე თავად-აზნაურობის კრებულიდან
რუსეთის მთავრობას გამოექცა, „აპუნტებულ“ გურიის ხალხს მა-
კემხრო, შეთქმულების რაზმები მოაწყო და რუსეთის საწინააღმდეგო
ბრძოლის მეთაური იყო... ამ აღამიანის ხილვა ხალხს მხნევებდა,
მისი სახლაპრო ცხოვრება ახალგაზრდობას იზიდავდა...

რუსეთის მთავრობამ გააუქმა ქართული ლაშქარი, და შემოი-
ლო „სალდიათობა“. ქართველების რუსეთში სამსახური, რამაც
ხალხი ააშფოთა, მთაში და კახეთში მღელვარება გამოიწვია, საზო-
გადოებრივი აზრი რუსეთის წინააღმდეგ აამხედრა...

ერთ ილვიძებს, ცხოვრებას შინაარსი და სიხალისე ეძლევა,
კეშმარიტება დიდებით იმოსება... მაგრამ შური და მტრობაც საბრ-
ძოლველად ირაშმება...

გამოვიდებულ ხალხს რუსეთის მთავრობა გააფთრებით ებრ-
ძეის: სცენაზე ეროვნული წარმოდგენები იქრძალება. ცენტურა წი-
ოთელი მელნიონ ანალგურებს ჩვენი მშერლობის, შემოქმედებას. ტაძ-
რებში ქართული წირვა-ლოცვა იდევნება, მონასტრები რუსის მე-
ძავი ქალებითა და გარევნილი ნააფიცრალი ბერებით აისო! ჩვენი
მამების სისხლით მორწყული და ღლებული შევი ზღვის ნაპირები
რუსის გენერლებს უფასოდ ურიგდება... შიგ საქართველოში,
უმაღლეს მოხელეებად ქართველს არ ღებულობენ... სკოლებში
სამშობლო ენას სდევნიან...

თფილისის სემინარიის რექტორი ქართულ ენას „ძალის ენად“
იხსენიებს! ამ ნიადაგზე სემინარიის შეგირდმა სილიბისტრო ჯიბლა-
ძემ გალახა სემინარიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი 1885 წელს.
მარტში. ჯიბლაძე გამასწორებელ რაზმში იქნა გაგზავნილი...

სემინარიის ხელმძღვანელ პირებსა და შეგირდებს შორის ერ-
ოვნულ ლევნისა, სასტიკი რეჟიმისა და ცუდი მობყრობის გამო
განწყობილება მეტად გამწვავდა; 1886 წელს ერთი შეგირდი, ლალია-
შვილი, დათხოვნილ იქმნა სემინარიიდან... 24 მაისს, დილის 10 1/12
საათზე, დათხოვნილმა შეგირდმა იოსებ ლალიაშვილმა, მოჰკლ
სემინარიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი... ჩუდეცკის დასაფლა-
ვების დღეს, საქართველოს ექარხხოსმა თავის სიტყვაში თქვა: წყა-
ლ იყოს ის მხარე, სადაც შენ მოგვლეხო!.. ეს „წყევლა“, თავის

შესანიშნავ „წერილში“, ცნობილმა მამულიშვილმა და საქართველოს აჯანყების მონაწილე დიმიტრი ყიფიანმა თავხედ ექვემდებარებული პროტესტით უკან დაუბრუნა, რისთვისაც დიმიტრი ყიფიანი მთავრობამ რუსეთში გადაასახლა, ხოლო ამავე დროს უტაქტო მოქმედებისათვის ექვემდებარებული მთავრობის მოყიდულმა აგენტებმა მხცოვანი დიმიტრი ყიფიანი მოკლეს, მძინარეს ვირით თავი გაუტეხეს!..

დიმიტრი ჭიშიანის თუმცილიში გოვარდანა

დიმიტრი ჭიშიანის მოკვლით დამწუხებული ქართველი ერი შეძრწუნდა.. ტანჯულის ცხედარი თფილისში მოასვენეს. 1887 წ. ოქტომბრის პირველ დღეებში თფილისი საომრად გამზადებულ ქალაქს წარმოადგენდა! საქართველოს ყოველ კუთხიდან დელეგატები და წარმომადგენლები მოდიოდენ, წარბ-შეჭმუხნულნი დიდებულ მამულიშვილის წინაშე ფიცს სდებდენ, რომ ამ სირცხვილს და შეურაცხყოფას მტერს არ შეარჩენდენ...

დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა შავად მოსილი რამდენ-იმე ათასი ქალი და კაცი, ქუდ-ჩაკეცილნი, ხმალ-კაპარჭით შემოსილ. ნი: მოელი ქართველი ინტელიგენცია, თაგად-აზნაურობა, ჩვენი ერ-ის ბურჯი — ახლად გამოლვიძებული მშრომელი ხალხი, თავიანთ ამქრული დროშებით. სამღვდელოებას და მგალობელთა გუნდს მიჰყებოდენ... ამ გლოვაში. ხალხის მწუხარე გამოხედვაში, ერთს რისხეა და შეგნება იხატებოდა...

დამწუხებული ერი ლირსეულ მამულიშვილს მთაწმინდაში მიასვენებდა... პროცესია შევი დროშებით რუსთაველის გამზირის ასავალ აღმართს შეუდგა, რომ კავკასიის მთავარმართებელმა წინ თვეის მოხელე რამდენიმე ოფიცერ ყაზახ-რუსები შემოაგება სასახლის წინ ცხელრის გასვენება აკრძალულია!

აქ მოოთმინდის ფიალა აივსო, დაგუბებულმა ბოლმამ ამოხეოქ!

როგორ? ჩვენს ოჯახში, მათ მიერ ლალატით მოკლულის და-საფლავებასაც გვიშლიან? მაშ ჩვენ კაცები არ ვყოფილვართ? ამ სირცხვილს არ შევჭამთ, არაო, დაიძიხა ხალხმა: იელვა პაერში ხმლებმა, სამგლოვიარო პროცესია წამით ბრძოლის ველიდ იქცა: „გზა რუსებო, თორემ დაგხოვეთო“ და მოელი ზღვა ხალხი გან-რისხებული მიესია მის წინ გადადგომილ სამხედრო რაზმს...

გააფთრებული ეპისკოპოსი ქრისტეს ჯვრით ემუქრებოდა

ოფიცერს: „გზა შე შეჩვენებულო, როგორ ბედი შემოსილ ხალცებული დელო კრებულს მიცვალებულის გასვენებას გვიშლიო!“ პატიონის
დიაკვანი საცეცხლურიდან ნაკვერჩხლებს ცხვირპირში აყრიდა
მთავარმართებლის „აღიუტანტს“... დიმიტრი ყიფიანის შვილები,
ჭირისუფლები, კორე ყიფიანის მეთაურობით მჯიდებით მიწევ-
დენ... მანდილოსნები ფრჩხილებით ჩინ-ორდენებს ავლეჭდენ რუს
ოფიცრებს... ქუდ-ჩაკეცილი თავად-აზნაურნი სიპრტყით სცემდენ
ხმას თავჭედ რუსებს, გველვარებული თვალებით - მიწევდენ.
უყვიროდენ: „გზა თორებ ორათ გაგვეთ, მამი ჩემის ცხონებამათ!“
თფილისის ყარაჩოხელები და კინტოვები ერთი შემოკვრით ორ პო-
ლიციელს ერთათ აწვენდენ მიწაზე... იმათმა ყველაზე წინ მოჩანდა
ქუდ-ჩაკეცილი ქართლელი თავაღიშვილი - ნიკო ლიასკოძე, რომე-
ლიც ამოღებული ხმლით „აღიუტანტზე“ მიწევდა..

ახლვაკებულმა ხალხმა, როგორც ნაფორი ისე გაიგდო წინ
თავები რუსის მხედრობა... სასახლის წინ ცხედარი დასვენებს და
პანაშვილი ვადაუხადეს... შემდეგ მამა-ღავითზე ასვენეს, აგ შეს-
ფერი სიტყვები უთხრეს და უკვდავების ძეგლი აუგის ღირსეულ
მამულიშვილს...

შეშინებულმა მთავარმართებელმა მეორე დღეს დატყვევა ჭი-
რისუფლები, რაც შემდეგ ოცდახუთი მანეთის ჯარიმით შეუცვალა...

ეს დიდებული პროცესია, რომელიც მთავრობამ მისი უტაქ-
ტობით თავის საწინააღმდეგო დემონსტრაციიდ გადაქცია, არის
პირველი თარიღი, პირველი აშერად გამოსცლა რუსეთის წინააღ-
მდეგ ახალ პირობებში და ახლად გამოღვიძებულ ქართველ ერში...

- ახალი ცხოვრება, ახალი ბრძოლის საშუალებას თხოულობს,
ახალ ტაქტიკას და მეთოდს...

ამ დღეს გამოაშკარავდა, რომ ქართველი ხალხი კვლავ ცოცხ-
ლობს, დიად მომავლისათვის ემზადება... დიმიტრი ყიფიანის და-
საფლავებამ მთელი სიქართველო გაბედულად ახალ სპარეზზე გა-
მოიყვანა და... სასახელოდაც...

იმით ღიაწყო ახალი ხანა...

კვლეული მუშაობა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იღია ქავებაძის და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა მე-თაურობით სკოლებს ხსნის, სადაც თავდადებული მასწავლებლები ქართულს ასწავლიდენ, სამკითხველოებსა და წიგნთხაცავებს აარ-სებრენ.. თავდადაზნაურობის საშუალო სკოლა-გიმნაზიებში ქართ-ველი პედაგოგებმა მოიყარეს თვით, — მათ, ვინც შემდეგ ქართულ უნივერსიტეტს ჩაუყარეს საფუძველი და ეროვნულ კერაზე მიბუუ-რული ლამპარი აანთესი..

ამოძრავდა ეროვნული ყოველი დარგი. დაარსდა საზოგადოე-ბანი. არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ზეპირსიტყვიერებათა შემ-გროვებელი ჯგუფები, საეკლესიო-საგალობელთა შემკრები წრე, ქართველ მომღერალთა გუნდი — ლილო აღნიაშვილის მეთაურობით, რომელმაც იმოგზაურა სპარსეთში და შახ-აბაშის მიერ გატაცებუ-ლი ქართველების ყოფა-ცხოვრება დაწვრილებით აღწერა, დაბეჭდა და ბნელით მოცულ ისტორიულ სამწუხარო ამბავს ნათელი მოფინა, დაკარგული ძმების - გზა იპოვა, მომავალი პერსპექტივები ასახა. შეიქნა მრავალი კულტურული და სააღებ-მიმცემო ამხანა-გობები, წიგნის გამომცემლობის კავშირები: დაარსდა ჩვენი ღვიძ-ლი ძმებისათვის — აჭარლებისათვის სკოლები... ერთ ამოძრავდა, ახალ ცხოვრების ალლო აულო, ყველა ნაკადებმა ერთ მდინარისაკენ იწყო დენა, ერთი აზრით და ზრახვით ჰქონ გაუბედავად, მორცხვად, ეროვნულ გრძნობებით გაიმსჭვალა, საღათას ძილისაგან გამოერკ-ვია — გამოფხიზლდა...

თუმცილის ხელისარის შეპირდების გაფიცვა

1889 წ.. მოხდა სემინარის შეგირდების საერთო გაფიცვა. გაფიცვა დაიწყო სტიქიურად, უვარვისი საჭმელის გამო. შიგ ჩაერთა შეგირდების პოლიტიკური საიდუმლო „წრეები“ და გაფიცვას მისცეს პოლიტიკური ხასიათი, შეიმუშავეს საერთო მოთხოვნილებანი და წერილობით გადასცეს რექტორს. მოთხოვნილებანი იყო შემდეგი:

- 1) ცენზურის ქვეშ გამოსული წიგნების თავისუფლად კითხვა;
- 2) შემოლება სემინარიაში ქართული ენის, ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის სწავლის; 3) გაუმჯობესება საჭმელის; 4) გაფიცვისათვის არავინ დაისაჭოს.

გაფიცვა გაგრძელდა ერთი კვირა. ბოლოს საქმეში ჩაერთა ექვემდებრის მოაღვილე ალექსანდრე ეპისკოპოსი ოქროპირიძე, რომელიც მივიდა სემინარიაში, შეკრიბა შეგირდები და გამოუტადა: სწავლა დაიწყეთ და თქვენს მოთხოვნილებას ჩვენ შევასრულებთო ძხოლოდ ქართული ისტორიის და ლიტერატურის ნებართვა უნდა გამოვითხოვთ სინოდიდან. ამის შემდეგ გაფიცვა შეწყდა. არავინ ამ საქმეზე არ დასჭილა.

ამ საქმეს მეთაურობდენ მეხუთე კლასის შეგირდები: ნოე კორდანია, ფილიპე მახარაძე და თეოდო კიკვაძე, რომელთაც ამის გამო მისცეს ატესტაცია ოთხ-ოთხი ყოფაქცევაში. რაც ნიშნავდა არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ მიღებას. ამ დროს სემინარის რექტორად იყო არქიმანდრიატი ნიკოლაი (რუსი), კაცი ფრიად განათლებული, რომლის პროტექციით ნოე კორდანია და ფილიპე მახარაძე იქნა მიღებული ვარშავის საბეითალო ინსტიტუტში. ერთი წლის შემდეგ სემინარიაში მართლაც შემოიღეს სინოდის ნებართვით ქართული ენისა და ისტორიის სწავლება. შემდეგ წლებში ახალმა რექტორმა ეს საგნები გააუქმა, რასაც მოყვა სემინარიის შეგირდების ახალი გაფიცვა.

03260 პერისელიძის გარდაცვალება

თფილისში გარდაიცვალა დიდ გაჭირვებაში და სიღარიბეში მყოფი ცნობილი მოღვაწე ივანე კერესელიძე, რომელიც უურნალ „ცისკარი“-ს დამაარსებელთაგანი იყო.. იანვრის ცივ ზამთარში მიცვალებული დიდუბეში მიასვენეს. რასაც ცოტა-ოდენი ახლად გამოღვიძებული მშრომელი ხალხიც დაესწრო... აქ თავის შესანიშნავ სიტყვაში ალექსანდრე ეფისკოპოზმა მიმართა შეძლებულ პირთ და უმთავრესად დაავალა თავად-აზნაურობის წინამძღოლს, რომ ეს წოდება თავის ქონებიდან დახმარებოდა იმ ქართველ მწერლებს. რომლებიც სიღარიბის გამო უდროოდ ეკარგებოდენ სამშობლოს...

ეს იყო პირველი საზოგადო გამოძახილი მოღვაწის ბედზე მშრომელ ხალხისა, მისი და ინტელიგენციის შეხვედრა — რა უყოთ რომ სასაფლაოზე; ანტონ ფურცელიძის და სხვათა სიტყვებს მორიდებით, მაგრამ სიამოვნებით ვისმენდით...

ნიკ. ბარათაშვილის ცხედრის გადმოსვენება

1893 წლის აპრილში განჭიდან გაღმოასვენეს სამშობლოში სასიქაცულო პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხედარი და მის საყვარელ ტფილისში — დიდუბეში დაკრძალეს. გაღმოასვენებას წინასწარი მზადება ჰქონდა. შესდგა საგანგებო კომისია; ისტორიკოსებმა გააშუქეს ბარათაშვილის ეპოქა, ეს ჩვენი გადაგვარების დრო... დაიბეჭდა პოეტის მოკლე ბიოგრაფია, მისი რჩეული ლექსები, განიმარტა აქ გამოთქმული აზრი და განცდა, რამაც ინტელაგენცია ააფრთვანა. ხალხი გემოაფხიზლა...

საგანგებოდ გაგზავნილმა დელეგატებმა ძვირფასი პოეტის ცხედარი თფილისის სადგურზე მოასვენეს; სადგურის მოედანზე ყვავილებით და თაიგულებით რიგში ჩამწკრივებული თფილისის თავად-აზნაურობის სკოლის შეგირდები, რუსეთიდან ჩამოსული სტუდენტობა, შემოსილი სამღვდელოება, ქალ-ვაჟთა მგალობელი გუნდი, საქართველოს ყოველ კუთხიდან მოსული სხვადასხვა და-წესებულებათა დელეგატები, და ქართველი მესამოცე წლების მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის მეთაურობით ქართველი ერის სულის მესაიდუმლე პოეტის ნეშტს შეეგებენ, მისი ცხედრის წინ მუხლი მოიყარეს...

ცხედარი სტუდენტობამ და სკოლის შეგირდობამ გაასვენეს: თვალწარმტაცი პროცესია დიდუბისაკენ დაიძრა... აქ, პანაშვიდის გადახდის შემდეგ, პოეტის ნეშტი მის შშობელ დედა-მიწას სამუდამოდ მიაბარეს, „ობოლი სული“ დიდუბის აკლდამაში მოასვენეს; სიყვარულითა და სითფოთი აღფრთვანებული სიტყვები უთხრეს — დიდების ძეგლი აუგეს...

ბარათაშვილის გაღმოსვენებამ, საქართველოს ყოველ კუთხიდან დელეგატების ჩამოსვლამ, დიდუბეში ერთად თავის მოყრამ, მესამოცე წლების მოღვაწეების კრებულის საზოგადოების წინაშე



გამოჩენაშ ქართველი ხალხი აღაფრთოვანა, გაახალისა. მას რაღაც კავკასიაშ
გამოურდეველი იმედი მისცა—ძალა ავრინობინა... თვით მოღვა-
წეებს აზღავებული ხალხის ხილვით სახე უბრწყინავდათ, ერთ-
მანეთს ულიმდენ, მხნევდებოდენ, ხალხი და „მოღვაწენი“ ერთმა-
ნეთის გულის ნადებს უსიტყვოდ იგებდენ...

ხალხში დაბრუნებული დელეგატები მოუთხრობდენ ქართველ
ერს სასიქადულო პოეტის გადმოსცენების, მის დიდებულათ დაკრ-
ძალვის ამბავს და ერიც ამ ამბით სტკბებოდა. მისთვის უცნობ სუ-
ლიერ კმაყოფილებას განიცდიდა...

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩდების, საშვილიშვილოთ
გარდაიცემის“—ო სწერდა პოეტი და ეს ეროვნული სულიმართ
დროებით გადაგვარებულ შვილებში იღვიძებდა, თავის თავს აკვირ-
დებოდა...

ბარათაშვილით დაიწყო ხომ ჩვენი სულიერი გამოფხიზლება...

ხელოსნობა — აშარობა.

დაბალ ხალხში, ამქარ-ხელოსნებში წერა-კითხვის მცოდნე პირებმა იმატა: „ქალ-ვაჟიანინი“, „ყირამიანიანი“, „არსენა ოძელაშვალი“. შესცვალა გურამიშვილის და მეჯლანიშვილის თხზულებებმა, ქილილა და დამანა“-მ ვისრომანმა — ვეფხის ტყაოსანმა და სხვებმა.

შესად იყო თფილისის ხელოსნების დალოცვა, როცა შეგირდი ხელობის სჭავლას დაამთავრებდა... ეს გაზაფხულზე ხდებოდა. როცა თფილისის ბაღები პატარძალსავით ირთვებოდა. დროს გასატარებლადაც გული იშლებოდა. ერთი დარგის ხელოსნები ფულს შეაგროვებდნენ, ორთა-ჭალის ბაღში ქიფს გამართავდნენ, სუფრას გაშლიდენ — იხალგაზრდა ხელოსანს დალოცვავდენ... აქ იყო მესაზინდრენი ანუ აშლები: მომღერლები, მეთარენი, დუდუკ-სალამურით, რომელთ საუცხოო ჰანგები მაისის საამო ღამეებში ბულბულის ხტვენა-გაღობას ეცილებოდა.

ხელოსნონთა ამქრების მიერ დალოცვის დროს წარმოთქმულ სიტყვებში ეროვნული ჰანგი ძლიერად გაისმა, მათ დასატკბობათ პირველათ მომღერალი აშლი „ჰაზირას დასი“ ახმატებილდა...

როცა ამქარი შეგირდების დასალოცავად ქიფს გამართავდა, მომღერალთა რომელიმე გუნდი — დასი უნდა მიეწვია, რომ დრო კარგათ გაეტარებიათ: ამათში პირველობა „ჰაზირას დასს“ ჰქონდა. ეს იყო შესანიშნავი დამკარელი-მომღერალთა გუნდი და თვით ჰაზირა კარგი ქართულის მცოდნე. მეღექსე, სულისა და გულის დამატებობელი მომღერალი იყო... ჰაზირას არამცთუ ქორწილებში, საამერი ქეიფებში იწვევდენ, არამედ ხშირად თფილისის შეძლებულ ოჯახებში; ვერაზე და ორთა-ჭალაში ქართველ მწერლების მაერ უცხო სტუმრებისათვის საგანგებოო გამართულ ზეიმზე, უცხოელებთან ერთათ აკაკი და ილიაც სტებებოდენ...



ჰაზირამ დასწერა შესანიშნავი ლექსი „მარტის თვე“, რომელსაც მთელი თფილისი გატაცებით ისმენდა ქორწილში, ზეიმში, ხელისა მავრი დალოცვის დროს, სახლების ეზოებში, სანამ რუსეთის მთავრობამ არ მიაქცია ყურადღება და არ აკრძალა: მარა რა ძალის შეეძლო აკრძალა ეს დედის ძუძუსავით ტებილი ხმა, რომელიც საქართველოს განთავისუფლების გრძნობას ხალხში აღვიძებდა, რუსეთის საქართველოდან გაძევებას თარითა და ნაღარით თხოულობდა!..

„მოშორდი ჩეენს საქართველოს, შე წყეულო მარტის თვეო, არც ზამთარო, არც ზაფხულო, შე წყეულო მარტის თვეო“, ისმოდა ტკბილ ხმაზე დასის მიერ დამლერებული „მარტის თვე“; თფილისიც ალტაცებით უსმენდა, ტაშს უკრავდა, ფულითა და ქებით აჭილა დოებდა.

მამია გურიელს თავის შესანიშნავი „ფიცი“-ს თქმას სცენაზე არ ანგებდენ... მაგრამ ყველა ეს რუსების საწინააღმდეგო ლექსები: აკავის „ხანგალი“, მამიას „ფიცი“, ყაზბეგის „შერცხვეს შენი სამართალი“—საიდუმლოდ იწერებოდა, ხალხში კრცხვდებოდა, ოჯახებში და შეკრებულობებში, ქორწილებში თუ ზეიმში სიმღერებში, ითქმებოდა... .

მღაბით ხალხში და ხელოსნებში ამ ლექსების შესანიშნავი მოქმედი იყო თფილისში ქართული ჩოხის მკერავი თერძი — ნოშრევან მერკვილაძე.

ნოშრევანი იყო შუა-ტანის, ლამაზი, ეშხიანი სახის კაცი, ჩოხა შეტისმეტად უხდებოდა. ქართული მწივნობრობის მიმდევარი, ტკბილი ქართულით მოუბნე, ის შრომის შემდეგ, სალამოებს თავის ახლად გამოლენებულ მოძმე მუშებთან საქართველოშე საუბრობდა, მათ მოხხრობა-ლექსებს უკითხავდა... მომგადოებელი ხმით, გაბრწყინებული თვალებით, მთელი მოსიყვარულე გაშლილი გულით, შუა ოთახში დადგებოდა და „შერცხვეს შენი სამართალი“-ს გატაცებით იტყოდა — საბრძოლველად იგვაღელვებდა!.. როცა აკრძალულ ლექსებს ათავებდა, თუ შეკრებულობა დიდი იყო — „ოთრიკე ერისთავს“, „ოთია“ და „აღამ ბებურიშვილს“ ისეთი მცერმეტყველობით, სილამაზით და მოხდენით იტყოდა, რომ თვით მათ ავტორებსაც დაშვენდებოდა! როცა ნოშრევანი „კაუ ყაჩალის“



იმ იდვილს აღწერდა სადაც კაკომ შესძახა ზაქროს: „ე მაგ უკარებელი
ვენილ ხმლისა პატრონი ჩემთან მოსვლასა როგორ ჰშედვეულისა
ჩვენ პირდაღებულნი თვალცრემლიანი ერთიმეორეს ხელებ გადა-
ლობილნი, ნოშრევანის სახეს მივჩერებოდით. რომელიც პოეტის
განაცად გრძნობებს გადმოვცემდა, საბრძოლველად გვამზადებდა..
და როცა ზაქრომ ღირსეულად მამის სისხლი იღო, კაკომაც ბოლი-
ში მოუხადა. ორი ვაუკაცი ერთმანეთს გადაეხვივნენ, დაძმობილ-
დენ, ჩვენც სიხარულის ცრემლები ვიდინეთ და საყვარელ უფროს
მოძმეს ნოშრევანს მაღლობით მოვეხვიეთ... არა ასი და ათასი
ვული აუღილვებია ნოშრევანს ჩვენი მწერლების შემოქმედებითი
ნიჭით და ბოლოს საყუთარი ლექსებიც დაბეჭდა უურნალ „კვალში“...

შრომის შვილები ჯერ კიდევ გაურკვეველნი და შეუგნებელ-
ნი. თავის ნაოფლარ-ნაშრომის დასაცავად და ამავე დროს დიად
ეროვნულ სულის გასათავისუფლებლად შეუმჩნევლად ემზადებო-
დენ: ამ ორმავი მისწრაფების სინთეზი—შეერთება ცხოვრების უნდა
მოეხდინა... ამ დროს ნაროლნიკული, სოციალისტურად მოაზროვნე,
ზოგი პიროვნებები თფილისის მუშა ხელოსნებს ეცნობოდნენ, მათ-
იან კავშირს აბამდნენ, თფილისის სემინარიაში საიდუმლო „შრე“
ქონდათ და კერძო ბინაზე მათთან მეცადინეობდენ...

სემინარიის შეგირდების აჯანცება

1893 წელს, დეკემბრის პირველ რიცხვებში, თფილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა შორის მღელვარება დაიწყო.

რუსეთის მთავრობა სისასტიკეს უმატებდა, განსაუთრებით სკოლებში და ეკლესიებში ქართულ ენას სდევნიდა... იმ ნიადაგზე თფილისის სემინარიაში კვლავ მოხდა შეტაკება შევირდებსა და ბერებს შორის... სემინარიაში შემოღებულ უმსგავსო წესებს შევირდებმა ერთსულოვანი გაფიცვით უპასუხეს: საწინააღმდეგო მოთხოვნილებები წარადგინეს, მოთხოვნილებების შინაარსი ეპიარხოსს, პეტერბურგში — უმაღლეს მთავრობას, ქართველ „მოღვაწეებს“, შობლებს აცნობეს და გაფიცვა გამოაცხადეს.

სემინარიის მოსწავლენი სხვათა შორის ითხოვდენ: „რექტორის, ინსპექტორის და მათთან ერთად მასწავლებელი ნ. ი. ბულგაკოვის მოქმედება სცილდება ყოველ საზღვარს და მივყევარო ჩვენ წევობრივ დამონებამდე, რაც ჩვენთვის ყოვლათ აუტანელია“-ო... „რექტორს ჩვენ ვეჯავრებით როგორც ქართველები... მან მოსპონსებული სემინარიაში ქართული გალობა, რომელიც მას არ სიამოვნებს, როგორც ვითომდა მიუღებელი და არა მუსიკალური!“... „მესამე თვეე რაც ავგირძიალეს ყოველგვარი საერთო რუსული და ქართული წიგნების კითხვა“... „უწმინდესმა სინოდმა ნება დართო, რომ ესწავლებიათ სემინარიაში, ქართული ენა და ქართული ლიტერატურა, ყოფილიყო შემოღებული, როგორც სლავიანური, ისე ქართული გალობა, მაგრამ ჩვენს სემინარიაში არ არსებობს არც ერთი და არც მეორე“... „გვიწოდებენ ღორებს“... „რექტორმა თავი დაანებოს ჩვენს შეურაცხყოფას და დამცირებას“... „აღდგენილ იქნეს ქართული ენის და გალობის სწავლება, მოგვეცეს უფლება ვიკითხოთ საერთო მწერლობის თხზულებები“... „თავი დაანებოს შევირდების გაჯაშუშებას, ენა ტანიობას-დასმენას, ღამით

ჩვენი ყუთების და საწოლების ჩხრეკას"-ო და მრავალი სხვა...
მთელი თფილისი შეიძრა, მთავრობა ფეხზე დადგა, ეპეშენული
რის ჯარით აღყა შემოარტყეს, შეგირდების დამორჩილებული ცაშებ
ვაგის მოსახლით, დამშევით სცადეს; შეგირდები ხომ სემინარიაში
ცხოვრობდნენ, სემინარიის ხარჯზე იქვებებოდნენ, ხოლო მათ
შშობლებს ულუფის ფული წინასწარ გადახდილი ჰქონდათ: აი ას-
ეთ პირობებში ბერებმა საჭმელი მოსპეს!... ამ ზომამ შეგირდები
კიდევ უფრო ააღლვა, საბრძოლველად ააფრთოვანა. სემინარიე-
ლები ეზოში შეიქრიბენ, მიტინგი გამართეს, ორატორებმა მთავ-
რობა და სემინარიის გამგე ბერები გაკიცხეს, სემინარიის ზედა
სართულების ფანჯრებიდან, იქვე ბაზრის ხლვა ხალხსა და ქუჩის
სიტყვებით მიმართეს...

გაოცებული ხალხი შფოთავდა, ღელავდა — როგორ თუ მთა-
ვრობა მოსწავლე ახალგაზრდობას შიმშილით ვვიკლავსო?! კვი-
რობდა, სემინარიის გარშემო თავს იყრიდა: მოვაჭრები, მეწანი-
ლები, მეპურები, მეხორცე-მელვინები ღმით კალათებით სანო-
ვაგეს აწედიდნენ შეგირდებს: ამათაც თოკებით, ზეწრებით, პირსა-
ხოცებით თავიანთ ფანჯრებში აქმონდათ: პოლიციელები ვერას აწ-
ყობდენ. ხოლო ზოგი მათგანი ჩუმად მოსწავლეებს ხელს უწყობ-
და... ბაზრის ხალხი აღყა შემოკრულ შეგირდებს ამხნევებდა, ახალ-
გაზრდობა სიცილ-სიმღერით, ყიფინა-ხმაურობით ერთობდა, მთე-
ლი თფილისის მცხოვრებლებს აღელვებდა...

სამხედრო და სამძარღვა უფროსები, ეგზარხოსი და სინოდ-
ის კანტორის წევრები მთავარ-მართებელთან დღიან-ღამიან ბჭობ-
დენ, თათბირობდენ, შექმნილ მდგომარეობის გართულებას უფრთ-
ხილდებოდენ — გამოსავალს ეძებდენ...

თფილისის ქართველი „მოღვაწენი“ ოჯხებში იქრიბებოდნენ,
მთავრობასთან გავლენიანი პირების შემწეობით საქმის შვიდო-
ბიანად მოვარებას ცდილობდენ... ამ დროს კავკასიის მთავარ-მარ-
თებლის ადგილზე იყო ცნობილი ქართველი ლენერალი, ვიც ამი-
ლახვარი, რომელმაც წესიერების აღსაღვენად და საზოგადოებრივი
აზრის დასამშვიდებლად სემინარიას აღყა მოხსნა, მდგომარეობის
გამოსარვევათ კომისია დანიშნა...

ამით ისარგებლეს სემინარიის შეგირდებმა; ხელმძღვანელმა
„წრე“-მ საიდუმლოდ არჩეულ დელეგატების საშვალებით ქარ-
თველ „მოღვაწენითან“ კავშირი გააბა, რჩევა სთხოვა... თათბირი

იმართებოდა ილა კვეჭივაძისას, გიორგი წერეთლისას, იაკობ ჭავჭავაძე /
გებაშვილთან, ალექსანდრე ეპისკოპოზისას, რამდენიმე სამხედრო
და წარჩინებულ ქართველებისას და ცნობილ ივანე მაჩაბლიურავაშვილისას
ერთი სემინარიის დელეგატთაგანი — ტარაძი ტრაპაიძე მე მი-
ვიყვანე საიდუმლოდ ივანე მაჩაბლის ბინაზე, რომელმაც დაწვრი-
ლებით გამოკითხა ყოველივე მისები და როცა მთავრობასთან წარ-
გზავნილი მოთხოვნილების ასლი წაიკითხა, შენიშნა: შინაარსით
არაუშავს რა, მაგრამ კილო მეგახე არის, უფრო ზრდილობიანად
და მორიდებულად უნდა დაწერილიყოვო... .

ამასობაში საქართველოს ყოველ კუთხიდან დაიძრა მღვდლე-
ბი, მთავარ-დიაკვნები თფილისისაკენ: სემინარიაში შეილებს
შიმშილით გვიხოცავს შეჩენებული, ტვინ-გამოლაყებული რუსის
ბერებით — და მთავარ-მართებელს შეელა სთხოვეს; რჩევა-დარი-
გებისათვის ქართველ „მოღვაწეების“ ქარებს მიაშურეს.

საჩქაროდ პეტერბურგიდან ჩამოვიდა მთავრობისაგან საგან-
ვებო კომისია საქმის გამოსაზრკვევათ, რომელსაც ეგზარხოსმა და
სემინარიის რექტორმა თავიანთი უმსგავსო და უტაქტო მოქმედე-
ბის დასაფარევათ უთხრეს: ეს სემინარიის შეგირდების „ბუნტი“
კი არა, ქართველების აგანყება-შეთქმულებაამ...

ამაზე ქართველმა მთავარ-მართებელმა — ამილახვარმა მთავ-
რობას პეტერბურგში შეუთვალია: რალ ბერებმა გაიგეს, საქართვე-
ლო რუსეთს უგანყდება და მე ვერაო!..

მოსულ კომისიის პირველი ცდა იყო შეგირდებს მეთაურები-
წამეჭხებლები, გაფიცვის ხელმძღვანელები გაეცათ, მარა, არამცუ-
კინმე გასცეს. არამედ როგორც ერთი კაცი იცავდენ თავიანთ მო-
თხოვნილებებს: ჩვენს ენას „ძალის ენას“ უძახიან და კიდევ
კი ხალხი ჩვენს მასწავლებლობას ბედავსო!..

ამის შედეგ მთავრობამ შენიშნული 87 აქტიური მოსწავლე
სკოლიდან სამუდამოდ გამორიცხა, შეგირდები თავ-თავიანთ
სასლში გაცუდებათ ვაგზავნა...

უქმაყოფილო შეგირდები და ანაფორიანი სამღვდელო პირე-
ბი მთელ საქართველოს მოედვენ, ამით შეუერთდა მშობელ-ნათე-
სავები: ესენ წყველა-ქრულებით იხსენიებდენ იმ მთავრობას, რო-
მელმაც შეა: შეიღებს სწავლის საშეალება მოუსპო...

შეგირდებმა თფილისიდან წასვლის დროს აირჩიეს ხელმძღვა-
ნელი პირები, რომელთაც კავშირი პქონდათ სემინარიის გაფიცვის

მოქმედი საიდუმლო კომიტეტთან*) და ქართველ მოღვაწეთა შემთხვევაში...
მთელი საზოგადოებრივი აზრი მთავრობის წინააღმდეგ შეი-
მართა, სემინარიის შევიზდები, თავისი ეროვნული და პარაზონული
რსებისათვის მებრძოლნი, უდიდესი პროპაგანდისტები აღმო-
ჩნდენ...

თავმა თხარა, თხარა და კატა გამოთხარაო — ეს დაემართა
რუსეთის მთავრობას... საზოგადოებრივი აზრი ამუშავდა რუსეთის
მთავრობის საწინააღმდეგოდ..

სემინარიის ამბები 1885 წლიდან 1893 წლამდი, სილიბისტრო
ჭიბლაძის მიერ რექტორ ჩუდეცის გალახვა, შემდეგ ამ უკანასკნე-
ლის მოკვლა 1886 წ. ლალიაშვილის მიერ, დიმიტრი ყიფიანის და-
ღუბეა 1887 წელს, 1893 წლის მოძრაობა და სხვა დაწვრილებით
აწერილ და დასტამბულ იქნა ჯერ ლონდონში, მაშინდელ არალევა-
ლურ „ლეტუჩი ლისტოკ“-ში რუსულად, ხოლო 1894 წლის დამ-
ლექს ქართულად ვამოცა საიდუმლოდ თფილისში და გავრცელე-
ბულ იქნა საზოგადოებაში ახლად შემდგარ „მესამე დასის“ მიერ...

*: თიდა საიდუმლოობით მმობდენ: სემინარიის გაფიცვის მშადებდნენ
ეგნატე ანდონიშვილი, სილიბისტრო ჭიბლაძე, მ. ცხავაია და მათი ასლო მმართ-
ვებით.

პლეისანდრე შაზგაგის გარდაცვალება.

1893 წელს დეკემბერში გარდაიცვალა ილექსანდრე ყაზბეგი.

ჯერ არ დამშვიდებულიყო თფილისი, რომ ძაძებით შემოსილმა ქართველობამ ქაშვეთის ტაძარში მოიყარა თავი.

საყვარელ მწერლისა და მებრძოლის წინაშე ახლად გამოიღუ-
ძებული ერთ ფიცს სდებდა, რომ მის მიერ ნაჩვენები გზით ივლი-
და, მისი მოთხრობების სასახელო გმირების კვალს გაყვებოდა... ამ
შეკრებულობამ, მოხვევთაგან საყვარელი შვილის ყაზბეგში მო-
ვენებამ, კავკასიონის მთები შესძრა, მთის შვილები შეაერთა, მშვე-
ნიერი მყინვარი მის საყვარელ შვილს ძეგლად დაედგა...

ქართველ ხალხში ილექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება ვაკრცა-
და, მისი ნაშერების მკითხველი გაიზარდა, ხალხის თვალი და გუ-
ლის-ყური კიდევ მეტის დაკვირვებით და სიყვარულით მიეპყრო
ყაზბეგის გმირებს...

მდგრად ინიციატივის გარდაცვალება 1894 წ.

ჯერ იღებსანდრე ყაჩევების გულვა არ დამთავრებულიყო. რომ ყაჩევებისავით გაჭირვება — სულიერ ტანხვაში დაღნა და გარდაი. ცვალა დასავლეთ საქართველოში ახლად გამოლეიძებულ ხალხს სული და ვალი ევნიტე ინგორიუვა-ნინოშვილი.. მის უდროოთ გარდაცვალებამ ყველას გული ატენა, მწერლობისა და მშრომელი ხალხის წარმომადგენლები გურიაში მის საფლავთან შეპყარა ცხარე ცრემლით ატირა...

ნინოშვილის დაკრძალვა არაჩეცულებრივი, არ ნახული და არ გავონილი აშშავი იყო არა თუ ქართველი მწერლისათვის, არამედ ბავრ უცხო ქვეყნებისათვისაც... ქვთვი მოყვარა არა თუ მწერლებს, პრესის წარმომადგენლებს და ჰირისუფალთ, არამედ იქ. თვითინთ წარმომადგენლების საშუალებით შეკრებილიყო — საქართველოს დაბა-ქალაქების, სოფლების ახლად გამოლეიძებული მშრომელი ხალხი და ცხარე ცრემლით დასტიროდა მას. ვინც პირკაციად მშრომელი ხალხის გულში ჩაიხედა, ვინც ამომავალ მჩხის სხივსავით მათ შენელით მოცულ ქოხებში შეანათა, იქ ვამეცებული ცხოვრების სიღუბეზრე ასწერა. სასოგადოების წინაშე გადაშალა... წასტიროდენ მას, ვინც ხალხში ცხოვრობდა, თვის სუსტი ავებულობით ღუკმა პურისათვის მისებრ ტანჯულებთან ერთად საარსებოთ-იმრობდა. ხალხის უკეთესი მდგომარეობისათვის, გოჭონებულ პირობებში, ყოველ ნაირად გათასხირებულ მდგომარეობაზე პიროვნებებს ეძებდა, ახალგაზრდების სულსა და გულს იცნობოდა, თვის უზომო სიყვარულით იმეგობრებდა, აკაშირებდა, ჟეშ-შრების სხივებით მათ გონებას აშუქებდა... დასტიროდენ დაშესრულ გლოვობდენ მას, ვინც ქოხიათ ქცეულ ცხოვრებაში სავალი გხა იმოვა. ვინც, მაცხოვარსავით, ახალი აზრების მქადაგებელნი გარშემოიქმნა, სიმართლის, მმობა-ერთობის პირველი კრებული

ჟეკრა, მომქმედი „წრე“ დაარსა, მშრომელი ხალხის განმათავსებულია და ლებელი დროშა გაშალა და ყველა ტანჯულთ, ტვირთმძიმეთ, შეურაცყოფილთ, ამ დროშის ქვეშ საბრძოლველად მოუწოდა...

აქ „შორეული მხრიდან მოსულ მშრომელთა წარმომადგენლობას დახვდა ეგნატეს მიერ შედგენილი, მის გარშემო შემოკრებილი მეგობრები, მოელი კრებული ეგნატეს სიყრმის, სულისა და გულის მეგობარ სილიბისტრო ჯიბლაძის მეთაურობით... ეს კრებული პგავდა ქრისტეს პირველ მოციქულებს, რომელთაც კაცობრიობის დასახანელთა, ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა გასათავისუფლებლათ თავისი ნებით მძიმე ჭვარი აიყიდეს, უსამართლობასთან, ბოროტებასთან საბრძოლველად დაირაზმენ, შეკავშირდენ და ორგანიზაციულათ დაეწყვენ...

ამათ გვერდით ედგნენ გურიის ყველა კუთხის გლეხების, მშრომელი ხალხის წარმომადგენელნი, რომელთა შორის მრავლათ იყვნენ მანლილოსნები, და „ქრისტინე“-ს „გოგია უიშვილი“-ს და „სიმონა“-ს აეტორს მწარედ დასტიროდნენ, მათი დაბეჩავებული ცხოვრების გამკითხავს გლოვობდნენ... გურიის უმთავრეს სკოლებიდან იყვნენ სოფლის მასწავლებლები, თავიანთი ნორჩი შევიდებით, და თავ-ქოჩორა მალხაზი გოგონებით და ვაჟებით, რომლებიც ცოცხალი ყვავილებით მწერლის ცხედარს ამკობდენ, მათი ყოფა-ცხოვრების ამწერს უმანკო ცრემლით ასველებდენ...

გურიის პატარა სოფლის — ებალაურის ერთ ეზოში გადაშავებული ხალხი ეგნატე ნინოშვილის კუბოს დასტიროდა, გლოვობდა, ამავე დროს მის მიერ დაწყებულ დიად საქმის ასრულების ფიცს დებდა, მის მოძღვრების სამოქმედო გევმას, ათ მცნებას შედგენილს, აქვე სახაროთ, მტრისა და მოყვრის გასაგონათ, აშ-კარად ხალგაზრდა ლადონ დარჩიაშვილის პირით ლალადებდა, კითხულობდა — აქვეყნებდა... ეგნატე დაასაფლავეს სოფელ ჩანჩერის საყდრის გალავანში...

აქ ნახული და გაგონილი სიტყვების შინაარსი, აქ გამოქვეყნებული ამ ჯგუფის მიერ სამოქმედო პროგრამა, ცნობილმა მესამოცი წლების მოღვაწე გოორგი წერეთელმა უურნალ „კვალში“ ას-წერა და შენიშვნა: ნინოშვილის დასაფლავებაზე ახალი ჭგუფი,



ახალი მომქმედი დასი გამოჩნდაო! იყო პირველი დასი, იყო მაცხოველი ნინოშვილის დაკრძალვის დღეს კი მესამე დასი მოგვევლის მუზიკას ხელშებულ ცხოვრებაში ახალი აზრებით მებრძოლი და მომქმედია, ეს „მესამე დასი“ ჩვენი ცხოვრების წილიდან წარმოიშვა და მას ვამარჯვებას უსურვებთო...

ეს უაღრესათ დემოკრატიული და თავის ერის მოყვარული მოღვაწე, გიორგი წერეთელი, ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე გამოჩენილ „მესამე დასი“-ს მხარეზე დადგა და თავის უურნალ „კვალში“ ამ „მესამე დასელების“ მწერალ-პუბლიცისტებს წერას საშვალება მისცა...

ნინოშვილის დასაფლავებაზე ოლსრულდა აკავის სიტყვები: „არა, არა სხვა დრო ვვინდა, ვამოვიდეს სულ სხვა დასი, რომ ქვედსა და ახალსაცა ღირსეული დასდვის ფასი“-ო...

ამ დღიდან შშრომელი ხალხის და მოსწავლე ახალგაზრდობის კულის ყური უურნალ „კვალისაკენ“ მიეპყრა... „მესამე დასი“ ვამოღვიძებულ ცხოვრების ხელმძღვანელი და ერის მესვეური შეიქნა...

აქ წარმოთქმულმა სიტყვებმა, აქ წაკითხულმა დეკლარაციამ, ქართველი შშრომელი ხალხი გამოაღვიძა, უფლება-თანასწორობის, სამართლიანობა — ძმობა და ერთობის დასამყარებლათ ბრძოლის კელზე დარაზმა, მისი ღიადი მომავალი ქვეყნიერებას ხმამაღალა მიცნო...

ვამოღვიძებული ხალხი სხვა და სხვა ფრონტზე ცხოვრებაში საბრძოლველად სხვა და სხვა ნაირად ეწყობოდა, ირაზმებოდა, მარა ერის სული თავისი მარადიულობით ყველას ერთნაირად ეფინებოდა და თავს უყრიდა, ეროვნულ ღიად ტაძრისაკენ გზას უჩვენებდა...

ეგნატე ნინოშვილის დასაფლავების დღიდან იწყება ქართველი ერის, შშრომელი ხალხის კულტურულ და პოლიტიკურ ასპარესებ ღიად გამოსვლა.

პრიზანის ველის პანაზიდი.

1895 წ. 11 ენკენისთვეს, თფილისი გამოაღვიძა სიონის სამრეკლოდან დიდი ზარის ხმაშ, რომელიც მისი ბოხი ხმით გუგუნებდა, თფილისი მცხოვრებთ-კრწანისის ველისაკენ მოუხმობდა... სიონს ბანს აძლევდა ანჩისხატის ტაძრის ზარი მეაფიო წერიალა ხმით, ხოლო მას მოსძახოდა სამების, კალოუბნის, ქაშვეთის, მთაწმინდის, ამაღლების, ნათლისმცემლის, დიდუბის, ნიკოლოზის, ფერისცვალების, მეტების, წმინდა ბაზალეს ექლესიათა ზარები, და ყველა ტაძრებიდან — შემოსილი სამღვდელოება გულზე ხატებით, ფერებით, საკულებით ბაირალებით, საცეცხლურითა და საქმეჟელის კმევით. მწყობრათ დაწყობილი სხვა და სხვა მხარე — ქუჩით კრწანისის ველისაკენ მიემართებოდა...

თფილისის მშრომელნი თვითით საამქრო ფერადი დროშებით ხელში შავ ჩოხა-ყურთ-მაჯებიან ქულაჯაში გამოწყობილნი, შწერივად ქალაქის სხვა და სხვა უბნებიდან მოდიოდენ! ქალაქის მცხოვრებნი, ვაჟკაცები შავი ქულაჯით, ხმალ-კაპარჭით, სატევარით, მაღალი, წოწოლა და ჩაქეცილი ქუდებით, წვერ გაპარსულნი, დიდრონ შავულვაშებ გადაგრეხილნი, დინჯად და ამაყათ გამოიყურებოდენ. გრუზა წარბების ქვეშ თვალები სიცოცხლით უღვივოდა...

მანდილოსნები შავ ქართულ კაბაში, თავსაკრავ-თავსაბურით, კაებით მორთულნი მობრძანდებოდენ, მათი ჯავარიანი, იერიანი სახე და უუჟუნა თვალები ნალვლიანათ გამოიყურებოდა — საზეიმოთ არ ელვარებდენ...

სკოლის შეგირდები, ვაჟები და გოგონები აზლვავებულ ხალხში მწყობრათ მიჰყვებოდენ თვითით ხელმძღვანელებს, ძვირფას ადგილის შესამკიბათ ყვავილები მოქმედდათ...

თფილისის ყოველი მხრიდან, ყოველი უბნიდან, ყოველი ქუ-

ჩიდან ქართველები დიდი და პატარა კრწანისის ველისაკენ შეა-
მართებოდენ, მის ბაღნარ ჭალებში იკრიბებოდენ, სამშობლოსთვის
ის თავდადებულ გმირთა საფლავებს რკალივით გარს ვაჭრებით უკუ-
ქუდონდებოდნი. მოწიფებით რიგში დევბოდენ!

ეს დღე იყო კრწანისის ველზე დახოცილ გმირთა სულის მა-
სასხენებელი ასი წლისთავი...

ეს იყო პირველი საჯარო ისტორიული პანაშვიდი. ქართველი
ერის მოღვაწეების თხოვნით კონსტანტინე მუხრან ბაგრატიონმა
რუსეთის მეფეს სამისო ნებართვა გამოსთხოვა, ხოლო ქართველ-
შა მოღვაწეებმა ეს პანაშვიდი უდიდეს ეროვნულ დღედ გადააქ-
ციეს, მთელ ქართველობას წარმომადგენლობის საშუალებით აქ
თავი მოუყარეს, ეროვნული სული და ძალა გამოაჩინეს...

გაწეულ იქნა დიდი წინასწარი მზადება: ისტორიკოსები ერს
წერილობით მოუთხრობდენ აღა-მამად-ხანის თფილისზე შემოსევ-
ას, მცირე რიცხოვან მამულიშვილთა გმირობას, ღრმა მოხუც
ერეკლე მეფის და მისი შვილების ბრძოლას, მრავალი ვაჟკაცის,
მათ შორის სამასი არაგველის თავდადებას... მწერლები ასწერდენ
ბრძოლის სხვა და სხვა მნარეს და პოეტები ქებითა და დიდებით
იხსენიებდენ თავდადებულთ...

საქართველოს ყოველ კუთხეში დაიგზავნა კაცები, მოწევული
იქნენ წარმომადგენლები; კრწანისის ველზე მოყვარათ შავი ნახში-
რი, მაღლა განიერი შავი ტილოები გადაეფინათ სამგლოვიაროთ,
რომლის ქვეშ იდგენ რამდენიმე მღვდელ-მთავარნი შემოსილი,
ხატებითა და ჯვარებით შემკული, ეპისკოპოზების მეთაურობით;
აქვე ქალ-ვაჟ მგალობელთა გუნდი, შემდეგ წარჩინებულნი, საზო-
გადო მოღვაწენი, საქართველოს ყოველ კუთხიდან მოსული წარმო-
მადგენელნი, კონსტანტინე ბაგრატიონი, მესამოცე წლების მოღვა-
წენი — ილია-აკაკის მეთაურობით...

შორი-ახლოს განცალკევებით, იდგენ ხევსურ-არაგველების
წარმომადგენლები მუზარად, რკინის ჯაჭვსამოსით შექურვილნი —
ივანე მაჩაბელის მეთაურობით... ხევსურეთის მთასავით ჩათხრო-
ბილნი, დინგნი, მრისხანე, სახის გამომეტყველობის; ხელი ხმალსა
და სატევრებზე ედოთ, თვალთავან ცეცხლს აკვესებდენ... ღირსეუ-
ლი შთამომავლობა აქ თავდადებულ გმირების! უსიტყვოთ, უხმოთ,
ეს ვაჟკაცები ფიცს სდებენ, რომ მამა-პაპის ანდერძს აასრულე-
ბდენ....

აქვე ახლოს იდგა ღრმა მოხუცებული, ყავარჯენზე. ღაბჯენიდან
შვილებ მხრებში ამომდგარი აღამიანი, ას წელზე მეტის, რომელს-
აც ეს ომი ახსოვდა, ერეკლე მეფეც ენახა... არავალი
გამართება

მოხუცი ჩიფჩიფებდა: ვაი ამ ღლის მომსწრეს. მეფე ერეკლე
არა გვყავს; მე რა ვქნა. თორემ თქვენ კიდევ მოესწრებით თავისუ-
ფლებასაო!...

ერეკლე მეფის მომსწრე მოხუცის ნახვამ ღრმა შთაბეჭდილე-
ბა დასტოვა აქ შეკრებილ საზოგადოებაზე; მორიდებით აკირდე-
ბოდენ მის დაღარულ დამშენარ სახეს, ყველას სურდა ისტორიუ-
ლი პრძოლის ამ ცოცხალი მოწმის ხილვა...

მოზღვავებული ხალხი სმენად იყო გადაქცეული: საეკლესიო
და აქართა ფერად დროშებს ნიავი აფრიალებდა...



დაიწყო პანაშვილი, ლოცვა-ვედრება; სმენის დამატებობელი,
სასოების მომგვრელი გალობა კრწანისის ბალ-ჭალებს ეფინებოდა...
ჰავერში გისმა ეპისკოპოსის გარკვეული ხმა: მამულისათვის თავ-
დადებულ გმირების საფლავზე მუხლი მოიყარეთო! და მთელი
ზღვა ხალხი პირქვე დაემხო, გულიდან ქვითინი აღმოხდა... „დიდება
და სენეცა“-ს გალობას რამოდენმე ათასი ხმა შეუერთდა და სამ-
შობლოსათვის თავდადებულ გმირების დიდება ნიავმა გაიტაცა,
საქართველოს მოეფინა...

სხვა და სხვა კუთხის ქართველები ერთმანეთს ეცნობოდნენ.
მომავალზე ოცნებობდნენ...

დელეგატებს შორის იდგენ ქმები გურიელები. ჯაბა, ლომებრ
ფაფარგადაყრილი, ოქრო-მკერდით ნაქარგი ფაფანაკით, შვენიერი
ვახტანგი თავისი საამო ტკბილი ხმით საუბრობდა: ამდენი ჯარი
რომ ერეკლე მეფეს ყოლოდა, რაც აქ ხალხია თავმოყრილი, ხომ
არ დამარცხდებოდა, არ დავიღუპებოდით! ამ გამოღვიძებულ და
ერთად შეკრულ ხალხს რომ უყურებ, მათ სახეს ვაკვირდები,
მრწამს საქართველო კვლავ დიდებით აღდგებაო!

ამ სიტყვებს გარშემოკრებილი საზოგადოება გულისყურით
ისმენდა, ვახტანგის განიერ მხარ-ბეჭს, მის ჯიარიან სახე-ტანადო-
ბას თვალებ გაბრწყინებული მისხერებოდა...

შავათ გადაფენილ ფანჩატურს გარშემოკრებილი საზოგა-
დოება დიდ ხანს ჩათხრობილი მისხერებოდა, მამულისათვის თავ-
დადებულთა სისხლით მორწყულ ველს თვალ-ცრემლიანი ათვა-
ლიერებდა...

მოსალამურდა... ხალხი მწუხრმა დაშალა... ნელი ნაბიჯიოთ  და-
ტორიულ ამბებზე მუსაიფით თფილისისაკენ მოედინებოდა... 
და სანახაობით, გავონილი ამბებით ქართველი საღათას ძიღვიდებოდა
ილეიქებდა... ორთაჭალის ბალებიდან თარის ნაღვლიანი და სალამუ-
რის მკვნესარე ხმა მოისმოდა, დოლისა და ნაღარის სამგლოვიარო
ხმაზე კრწანისის ველზე დახოცილ გმირთა შესანდობარი შეისმებო-
და...

გამოიყენ ეპისტოლის გარდაცვალა

1896 წ. ზამთარში გარდაიცვალა ქუთაისში ერთი შესანიშნავი ადამიანი, ეპისკოპოზი გაბრიელ ჭიქოძე: მის დაკრძალვას მთელი ხა-ქართველოს წარმომადგენლები დაესწრო.

მიცვალებული ქუთაისიდან გელათის მონასტერში წაასვენეს მატარებლით; მიუხედავათ იმისა, რომ დიდი თოვლი იყო, ქუთაის დიდალი საზოგადოება მოაწყდა... რამოდენიმე ათასი ქალი და კა-ცი საგანგებოდ დანიშნულმა მატარებელმა ქუთაისის სადგურიდან გელათამდის ნაწილნაწილ გადაიყვანა..

საუცხოო სანახვი იყო. როცა უკანასკნელმა - მატარებელმა ცხედარი მოასვენა: რამდენიმე ას შემოსილი სამლოცველოება და დელეგატები ღვთის-მშობლის ხატებით ხელში თოვლიან გზაზე გამწყრილა: გალობით მონასტრისკენ გაემართა!

გელათის ისტორიული ძეგლი, თოვლისაგან თეთრად მოსილი მაღალი მთის კალთებიდან დიდებულად გაღმოიყურებოდა; სამ-რეკლოდან ზარების გუგუნი არემარქს ღირსეული შეიღის მოსვე-ნებას ამცნობდა...

მიცვალებული გელათის გარი-ბჭესთან მოასვენეს, საღაც სა-განგებოთ შედგენილი მოწესრიგები დალეგატებს ტაძარში შეი-ძლვენ — საზოგადოება მონასტრის დიდ ეზოში გაიშალა...

პანაშვილის გადახდის შემდეგ დელეგატები ხატებით ცხედარს უარს შემოერტყნენ, ღირსეულ ქართველს უკანასკნელად ეამბორე-ბოლენ... ამათში შესანიშნავი იყო ძეგლი საქართველოს, ბათუმ-აჭარა-ქობულეთის, დელეგატია კარლო ჩხეიძის მეოთხეულშით. და მეორე მხრით, მესამოც წლების მოღვაწენი: ილია, აკაკი, ივანე მა-



ჩაბელი, ნიკო ნიკოლაძე და გიორგი შერეთელი... ასე საჯაროდ უკავები მოჩენა იღიასი იმერეთში პირველი იყო და საზოგადოების ყურადღებას ღებას იყრინდა...

ქართველების გარდა აქ სიტყვები სომხის, თურქის და ებრაულების სამღვდელო პირებმა წირმოსთქვეს...

საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან მოსული წირმომადგენლები დიდის უურადღებით ათვალიერებდენ გელათის დაიდ ძეგლს, მის შესანიშნავ ხატებს, ჩუქურთმებს და საოცარ სიღიღის გათლივ ქვებს, რომელიც ტაძრის შესავალ მხარეს მშევნებენ... ბევრ ქართველ მოღვაწეს დღემდი არც კი ენახა ეს დიდებული, ერთს სამაყო ძეგლი...

ქართველი ერის გმოღვიძებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის დიად ისტორიულ ქართულ უკავია ძეგლებს და მით შორის მცხოვის, იღავერდის, მოწამეთის და გელათის ტაძრებს, აქ ვამრთულ დღესასწაულებს!

ამ დღესასწაულებს რამდენიმე თასი ქალი და კაცი ესწრებოდა, საქართველოს ყოველ კუთხიდან აქ თავს იყრიდა... აქ ჩვენ ვეცნობოდით სამაყო ძეგლებს, ქართულ ხუროთ-მოძღვრებას, რომლის სიღიადე გვაოცებდა ჩუქურთმა-მხატვრობა გვაყვირვებდა... მთელი წარსული დიდება თვალშინ გვესახებოდა, ქართული სული ცხოველდებოდა... აქ ვამრთული ცვევა, თმაში, ჭიდაობა, ხევსურთა ხმლით შეჯიბრება, უბან-უბან ვამართული ნაღიმი ფანატურები, ფარდაგით ვადაფენილ ურმების წინ ვაშლილი მწვანე სუფრა და ლალი ქართული მოლხენა სულსა და გულს გვიტაბობდა... ქედმიღალი ისტორიული დიადი ძეგლები უსიტყვოთ, უხმოთ, ქართველთა წარსულ ცხოვრებას ვაღმოვალედენ... ვაბრიელ და ძლევსანდრე ეპისკოპოსნი თავის შესანიშნავი ქართული ქადაგებით ამ დიად დღესასწაულთა მნიშვნელობას გვიხსნიდენ...

ვაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრება, ველათის თვალშიარმტაცი სანახიობა, დელეგატებმა ონ წაიღეს, საქართველოს მოფინეს...

ვაბრიელის დასაფლავებით გელათში ქართველმა ხალხმა ერთხელ კიდევ იხილა შარავანდედით ვაბრშეყინებული სასიქადული ძეგლი, რომლის ქვეშ ღირსეული მამულიშვილი მოასვენა...

რაციოლ ერისთავის იუგილი

1896 წელს ოქტომბრის 22-ს, იდლესასწაულეს რაფიელ ერის-
თავის 50 წლის მოღვაწეობა.

გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე გელათში დიადი სანახა-
ობით გაოცებული ხალხი ჭერ კარგად ვერ გამორკვეულიყო, რომ
რაღაც უხილავმა ძალამ ქართველ საზოგადოებას მოუწოდა, თუკ-
ლისის ქაშვეთის ეკლესიაში თავი მოუყარა... .

ვითარცა გაზაფხულის ველ-მინდოორი, სურნელოვან ყვავილე-
ბით იხატული, ისე საღლესასწაულოდ მორთული - მოკაზმული, სახე-
გაბრწყინებული ქალი და კაცი. მოხუცი და იხალვაზრდა, ქაშვეთის
ეკლესიის გალავანში შეიკრიბა; გარშემო მდებარე ქუჩები გაიჭი-
და... მინდილოსნები ქართულ გულ-ამოჭრილ ფერად კაბებშა,
ჩიხთა-კობით, ძვირფას სამკაულებით მორთულნი, ვით ვარსკვლა-
ვებში იხალი მთვარე ისე შევნოდენ... იდგნენ ზღვა ხალხში, შეე-
ლივით ყელ-მოღერებულნი, და ძვირფას იუბილიარის მობრძანე-
ბას მოუთმენლად ელოდენ...

იქე იყვნენ საქართველოს ყოველ კუთხიდან საგანგებოდ მო-
წვეული დალეგატები. თავიანთი მხარის ტანისამოსში გამოწყობი-
ლნი... საუცხოო სანახაობას წარმოადგენდენ მოხუცი და იხალ-
ვაზრდა აქარელ-ქობულეოლები, მოსირმულ ჩაქურაში გამოყვან-
ძულნი, რომელთა ნაკვთიანი ტანაობა, ძველი. ქართული სახის
გამომეტყველება, იერი იქაურობას ამჯობდა... .

ხავერდის ფერად ქულაჯებში საზეიმოდ გამოწყობილი ქართლ-
კახელები, ალვის ხესავით იმართული იმერნი სირმიან ჩოხაში
გამოწყობილნი აფხაზ-მეგრელნი, მხარბეჭიანი სვან რაჭა-ლეჩხუ-
მელები, ლომ-ვეფხვი ხევსურ-მთიულნი, ჯაჭვ-მუზარადებით შეჭუ-



რვილნი, მკვირცხელი გურულები სუროსაებრ ქუჩუჩა თმითა
ფაფანაკით, ჩაქურაში გამოკვანძულნი-სიხალისე, სილამაზეჭმას-ერთა
მანეთს ეცილებოდნენ, „ცალ-ცალკე და ყველა ერთად სიცოცხლე
და ნეტარება“-ს წარმოადგენდნენ...

უცებ რუსთაველის გამზირიდან გაისმა ხმა: მოდის. მობრძან-
დება-მოყვითო!!!

ქაშვეთის წინ ქუჩაში მდგომი ხალხი ორად გაიყო, გალივნის
კარიბჭედან ეკლესიამდე საზოგადოება რიგში ჩამწკრივდა. ტაძარ-
ში დელეგატები, მწერლები საზოგადო მოღვაწენი შექუჩდნ. სა-
კურთხევლიდან სამღვდელოება ეპისკოპოსით ვამოევება... ქუჩაში
„ვაშას“ ძახილი და ტაშის ცემა გაისმა, ვართებით მორთულ ეტლი-
დან მთვარესავით გაბატრული მხცოვანი იუბილიარი რაფიელ ერის-
თავი, სახე გაბრწყინებული. სიხარულისაგან იცრემლებული გად-
მოაბრძანა ჩოხაში გამოწყობილმა, წელზე ჩმაღ შემორტყმულმა
პოეტმა, გრიგოლ აბაშიძემ; კარიბჭეზე მესამოცე წლების მოღვაწე-
ნი — ილია-ავაკის მეთაურობით გამოეგებნენ, გალობითა და „დიდი
ხნის სიცოცხლე“-ს ძახილით ტაძარში შეაბრძანეს!..

აქ სამშვილობრ პარაკლისი გადაუხადეს: სამშობლოს, ძმობა-
სიყვარულის. ტვირთ-მძიმეთა და მაშერალთა პირველი პოეტის
ლიდი ხნის სიცოცხლე, ციხა და ქვეყნის შემომწმედს შეავერტეს. ..

ვითარდა ჯავარდაჭერილი მეფე-დედოფალი, ისე გამოიყვანეს:
რაფიელი ეკლესიიდან, გზა ვარდითა და ყვავილებით მოუფინეს,
„ვაშა“-თი ქართული თეატრის კარებამდე მიაცილეს. სადაც დია
ძალი საზოგადოება აღტაცებით შეეგება... .

თეატრის გარშემო მდებარეობა ხალხით იყო გაჭედილი. თეა-
ტრის დარბაზი და ქანდარა წინასწარ უკვე დელევატებით დაკვი-
ბული... .

სცენის ჩამშვებულ ფარდის უკან, გაისმა კახური მაყრული:
„მოგვყენ და მოგვიხარი“-ს სულისა და აულის დამატებითელი
ხმა. რომელიც ჯურულ-კრიმანჭულ გამყივინმა შესკვალა, რის შემ-
თვის სცენის ფარდა ნელ-ნელა იწია. სცენაზე რაჭველი მესტრიორე
ტკბილი ხმით შემოუძლეა. თოთქოს მოებიდან მთვარემ იმოანათა
ამოგორდაო. ისე გასხვილსნებული იუბილიარი აკაკი-ილიამ სცენაზე
შემოიყვანეს, ფარ-მუზარადით შეკურვილმა ხევსურებმა, ყვავილა-
ბით მორთულ სავარძელში ჩაბრძანეს, ილია-ავაკი ორივ მხარეს
შოუხვეს!

ფეხზე ადგარი, აღელვებული საზოგადოება ტაშის ცემით
ვაშათ აჩილდოებდა, სიხარულით იცრემლებოდა! ... ცალკეული
იყო რისთვისაც გატაცებით მხარულობდენ... გამოცემის

სცენაზე, ვითარცა „სამება“, სამი პოეტი გამობრწყინდა!

იუბილიარის პირდაპირ, მეორე მხარეს, სავარძელი დადგენა,
რომელზედაც აჭარა-ქობულეთ-ბათომის წარმომადგენლები დასვენ!

ჩვენი ღვიძლი ძმების, ჩვენი სისხლი და ხორცის აჭარელების
სცენაზე გამოჩენამ საზოგადოებაში უსასელო სიხარული გამო-
იწვია: ფეხზე ადგომით: „გაუმარჯოს ჩვენს ძმებს, ჩვენს დებს,
ჩვენს გულიდან ამოგლეჭილ აჭარას, ჩვენს კვლავ ერთ ოჯახში თა-
ვის მოყრას“-ო!..

ამ სახახობამ საზოგადოება სიხარულის ცრემლებით აატირა,
დროებით დაკარგული ძმების აქ გამოჩენამ დღესასწაულს ისეთი
სიხარულის ელფერი მისცა, თითქოს წვიმიან დღეში მზემ გამო-
ჰიატა და საქართველოს შვიდფეროვანი ცისარტყელა გადაეკრიო.

აჭარა-ქობულების დელეგატების შუა იჯდა „სერთუკში“ გა-
მოწყობილი ბათომის დელეგატი, კარლო ჩხეიძე, რომელიც საქარ-
თველოს პირველ საზეიმო კრებას აჭარა-ქობულეთ-ბათომის ძმე-
ბის ძველ ოჯახში კვლავ დაბრუნებას მოუწოდებდა და საზოგადო-
ებაც მას სიყვარულით და ტაშის ცემით ეგებებოდა!..

საზეიმო კვარცხლბეჭვე მჯდომი სამი პოეტი სამუსულმან
საქართველოს ძმებს სახე გაბრწყინებული მისჩერებოდენ, ორივეს
სამეულის გულები, ერთი გრძნობით ძგერდნენ. საზოგადოებას
წინაშე შვენიდენ!..

დაიწყო მილოცვები, რამაც დღდ ხანს გასტანა და რაც დამ-
თავრდა ვრიგოლ აბაშიძის შესანიშნავი პოეზიით აღსაცე სიტყვით..

მაღლიერმა ერმა იუბილიარი ეტლამდე მიაცილა, საიდანაც
პოეტმა აბაშიძემ ბინაზე მოსასვენებლად წაიყვანა.

საღამოს იუბილიარის პატივსაცემათ ერთ მოქმედებიანი მით
პიესა დადგეს: ჟვავილებით მორთულ ლოეაში აკაკი-ილიას შუა იუ-
ბილიარი, ვით ცის ტატნობზე გაბადრული მოვარე ისე შვენიდა..

წარმოდგენის შემდეგ თეატრის შენობაში გაიმართა ზემდევნობა.
რომელსაც სამასამდე დელეგატი, უცხო სტუმარი და მოღვაწე და-
სწრო.

გრძლათ გაშლილ სუფრის გარშემო. ოქრო ქსოვილ ფანჩატუ-
რებში მომლერალთა გუნდები, მეთარე, მეჩონგურე, მესაზანდრე

დასები იყო ჩამწერივებული; მაღალ ესტრადზე სიმებიანი გამოსახული იყო, რატილის ხორი, ქალთა გუნდი, კახელები, გურულების გურულები—ილარიონ ჩავლეშვილის ხელმძღვანელიბით...

დარბაზის შეუ სუფრისთან ვითარცა მამა აბრაამი შვენოლი იუბილიარი: აქეთ-იქით, ილია-აკაკი, პირდაპირ გრიგოლ აბაშიძე, ძმები რაზიკაშვილები (ვაჟა-ფშაველა და მისი ძმა თედო). ამათ მხარს უმშევენებდენ თვილწარმტაცი და გულის მომჯადოებელი მანდილისანნი: პოეტი ნინო ორბელიანი, ეკატერინე გაბაშვილისა, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, ნინო ყიფიანის მეთაურობით... აქვე ისხდენ უცხოეთის მწერლები არტურ ლაისტის და პოეტ ვალიჩკოს მეთაურობით... შემდეგ გრძელ გაშლილ სუფრას უსედნენ თავიაღ-აზნაურობის წინამძღვრები, საქართველოს ყოველ კუთხის წარმომადგენლები, რომელშიაც ერჩეოდენ გურიის გლეხობის დელევატი, ჩაქურაში გამოწყობილი პპოლონ წულაძე და მარშალი კოჭია ერისთავი... ამ შესანიშნავ ზეიმს თამადობდა თფილის-ში განთქმული გიგო ყარანგოზიშვილი, თეთრ ჩიხაში გამოწყობილი, რომელსაც ვერცხლის ბადიები და ყანწები წინ ეწყო. ხოლო განკეტს განაგებდა მესამოცე წლების მოღვაწე გიორგი წერეთელი...

ვინ შეამკოს ამათი სილამაზე, სიტურფე! ვინ ასწეროს აქ წარმოთქმული სიტყვების მარგალიტობა! რომელი ხელოვანი შესძლები, გადაიტანოს ქაღალდზე ეს სულისა და გულის დამატებობელი სმები!... რომელმა ერმა იცის ასეთი ზეიმი, ქეიფი, დროს ტარება!... აქ სულის საზრდოცაა, მისი აღმაფრენა, აქ ამ ქვეყნიური ღმერთები ზეიმობენ, ცისა და ქვეყნის შემოქმედების შვენიერებით სტკბებიან, ასეთ ზეიმში ზნეობა ფაქიზდება, გონება ვითარდება, სიცოცხლეს შინაარსი ეძლევა..

ოო! რა სულგანაბული უსმენდა უცხოელი კომპოზიტორი რატილი, როცა კახური სუფრული ვუგუნებდა, გურულ ხასანბეგურაში წერიალა ხმა კრიმინჭულობდა. პირველს და მეორეს ეტმისნებოდა, ჩავლეშვილის ბანი სილბოს და სიტყოებას აძლევდა; ადამიანის და, ჩავლეშვილის ბანი სილბოს და სიტყოებას აძლევდა; ადამიანის და სულიერი განცდა ამ შეწყობილი ხმის საშუალებით გასაგები ხდებოდა!..

კეშმარიტად საკეირველ არს ქართველი ერის ნიჭი და მისი შემოქმედება!..

ამა, მოაწია გათენების უამი; ბალიები, თასები ხელიდან-ხელში გაღადის... სადლეგრძელოებს მრავალუამიერი მოსდევს, სხვა და

სხვა საქრავები წკრიალა ხმით ერთმანეთს ეჭიბრებიან. გრული/ ფრთა ვაშალა. სიცოცხლე მთელი ძალით ლხინობს... საზოგადოებრივი ქეიფობს, მარა მთერალი არავინ არის; მანდილოსნების გამოწეულება ბული თვალები. ვით ცისეაშარაში ვარსკვლავები. ისე ელავენ-ციმ-ცომობენ, გარემოს სიხალისეს პფენენ...

იუბილიარი დაიღალა, მის გაბადრულ სახეს ფერმერთალობა დაეტყო, მთელი ღამე შეღიმოდა. შარავანდედის სხივს აფრქვევდა, თავისი მადლიანი სახით, ყველას ატყობდა... მმ ღამეს აქ მოიგონეს დიადი წარსული და აქვე გამოკრთა მომავლის ლანდი და იმედი...

თამადა ზე წამოდგა, ყანწით კვლავ იუბილიარის სადღეგრძელო შესვა.. ტუში, თარი, მრავალ-უამიერის ხმები ერთმანეთში აირა, იუბილიარმა სამაღლობელი ინება, საზოგადოება და თამადა დალოცა..

თამადა სუფრიდან აღგა. შუა დარბაზში მერიქიფეებშია სუფრა-სკამები აალავეს. წრე გაკეთდა; ზურნა. დოლი ჩაღანა, ნაღარა, დარა, თარის ხმა გაისმა, ცეკვა თამაში გაიმართა..

სათამაშოთ თამადა გამოვიდა. დაუარა. წრე მოათვალიერა, მანდილოსანთა კრებულიდან ქართულ კაბაში გამოწყობილი ქალი მორიდებულად გამოვიდა, კელაპტარივით მკლავები წყვილათ ვაშალა. თამადას თვალები შეანათა, ეშხით შეხედა, ნაკვეთიანი ტანთრევით გაუთამაშა.. ამ სანახაობაში საზოგადოება მოაჯადოა-გაახალისა!

ქართლ-კახეთის წარმომადგენლები წარმოუდგენელი სიმჩატით იატაქზე მიცოცავდენ, გულ-მკერდ მოღერებულ ხოხბებს გარს უკლიან...

ავერ ახადა ხმალი გურიის დელეგატმა, მარშალმა კოწია ერა-სოავმა და ორგორც ალვის ხე, წრეში დაშვენდა! მისი წერწეტი ტანით ერთი შემოტრიალდა, ქორივით დაუარა. მაყურებლებში ვი დაც შენიშვნა, მის წინ საუცხოოდ გაითამაშა, მოხდებნილად თავი დაუკრა და ჩიხის სამკლაური გაისწორა. მანდილოსანთა წრილინ ცნობილი არტისტი ნატალია გამუნიას ქალი გამოვიდა, გულ-ამოჭ-რილ ქართულ კაბაშე ჩაშვებული არშიები გაისწორა, ორგორც მტრედი გასაფრენათ მკლავები ვაშალა, თავის ცეცხლმფრქვევა თვალებით ვაჟს მიანათა; ორგორც შევარღვნი მტრედს, ისე ჩაუქ-როლი ვაჟმა და თვალის წარმტაცი თამაში გაიმართა...

გაშასა და ქების ძახილში მანდილოსნების ხმა ისმოდა: „შენა ქირიმე. შენ ვენაცვალე მაგ ჯანში, ნატო, გვასახელე“-ო.

იუბილიარი წასასვლელად დაიძრა, საზოგადოება მხედრუბის
დაირაშია, დავით მიქელაძის მეთაურობით პაერში „კუჩხააჭყაფხლუ
რის ხმა“ გაისმა! კუჩხა-ბედინერით და საქართველოს გაცემაში მან
ძალით იუბილიარი გააცილეს; დაფა-ზურნამ დილის საარი დაუ-
კრა, ტკბილი დუდუკით რუსთველის გამზირზე გაიშალენ, ქუდ-მო-
ნდილნი, ამომავალ მხეს შევგებენ...

დელევატები რამდენიმე დღე დარჩნენ თფილისში, ერთმანეთს
გაეცნენ, თავიანთ კუთხეს დაუბრუნდენ და ნახულ-ნაგრძნობი
ამბებით საზოგადოება აამოძრავეს.

ეს პოეზიის დღე უდიდეს ეროვნულ მოძრაობის ლერძად შე-
იქნა....

ამ იუბილეის გამო დაშერილი წიგნ-წერილები დიდ ხანს ათ-
ვითცნობიერებდა ჩვენი ერის გონებას..

ხალხის ამოძრავება.

მართალია ქართველი ხალხის გულში დაღი მოძრაობა იყო. მაგრამ გაშლილ ასპარეზზე ის თავისი ტლიერებით ჯერ არ აღმოხეთქილა, მხოლოდ ასეთ სამგლოვიარო-სადღესასწაულო შემთხვევებში ერის-სული გამოკრთებოდა, სამშობლოს ცაზე გაიელვებდა, მისი შვენება სულსა და გულს გვიტაბოდდა. ჩეკნოვის უცნობ იმედებს გულში გვიძრავდა...

ილია ჭავჭავაძე სწერდა: მე ჩეკნს ისტორიაში მეფეებისა და პიროვნების ისტორიას კვითხულობ, ხალხი არსად სჩანს, ეს გულს მტკინსო! (დაახლოებით).

რასაც დიდებული მამულიმვილი და ძმობა-ერთობის მოყვარული მკონსანი ნატრობდა ეს დრო მოვიდა...

1900 წელი თფილისის მუშათა გაფიცვით გათენდა, რასაც პოლიციასთან შეტაკება მოყვა, სისხლი დაიღვარა. ციხეები დაჭირილებით აიგსო. ქვეყნის მყვლეფლებსა, მათ დამცველ რუსეთის მთავრობასა და შშრომელთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა... ქართველი ერის ცხოვრებაში დაიწყო ის. ხალხის მოძრაობა, რასაც ილია წარსულში ეძებდა, გულ-ნაკლული ამას ნანობდა!..

რაյი ახალი წლის გაფიცვა-შეტაკებაში უმრავლესობა ქართველი მუშები აღმოჩნდნენ. მთავრობამ მოძრაობა ეროვნულად მონათლა, ქართველები ციხეებში გამოამწყვდია, ზოგი უცხოელებიც ზედ მიაყოლა, ზოგიც სოფელში გადაასახლა, მათ აღვილზე რუსები და უცხოელები მოიწვია, მით ეროვნული შური დათესა. ამ ნია-დაგზე ბრძოლა გააჩალა...

გიორგი ჭირელის გარდაცვალება

1900წ. ზამთარში თფილისში გარდაიცვალა მესამოცე წლების მოღვაწეთაგანი, დემოკრატიის და ეროვნული თავისუფლების მოწოდების მწერალი, გ. წერეთელი, რომლის დასაფლავებაზე თავი მოიყარა ქართველმა საზოგადოებამ, და რაც საყურადღებო გახდა. იმ საზოგადოებას მძრავლებდა დიდ ძალი მშრომელი ხალხი საქართველოს ყოველი კუთხიდან მოსული..

ეს პირველი იყო, რომ ფართე მასა, მშრომელი ხალხი, ქართველი მწერლის დამარხვას ასე მრავალრიცხოვანი დაესწრო, გულათა და სულით იგლოვა. საზოგადო მოღვაწის დაკარგვა საკუთარ დანაკლისად იგრძნო, მისი ცხედარი ყვავილებით და გვირგვინით შეამჭო..

ამ დღეს თვალსაჩინო და გასაგები გახდა ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე აღმოჩენილ „მესამე დასის“ არსებობა, ამ დასის ცხოველ-მყოფელობა, მისი ზნეობრივ-გონებრივი მუშაობა ხალხში...

თუ ბარათაშვილის გადმოსვენება, კრწანისის გმირების მოსავანიარი პანაშვიდი ხალხს საგანგებოდ წარგზავნილ პირების და განეთ „ივერიის“ საშუალებით ეცნობოდა, დღეს „ივერია“-ს გვერდში უდგნენ: მშრომელი ხალხის უურცელი „ქვალი“, „მოამბე“, „ჯეკილი“, „ცნობის ფურცელი“ და გამოღვიძებული ქართველი. მისი მოღვაწის და მოამაგის დაკრძალვის ამბავს მის სოფელში თუ მის ქალაქში ეცნობოდა...

ხალხში ღრმა, დიადი მუშაობა მზადდებოდა..

გეზვანის ამოძრავება.

1900 წელს გაზიფხულზე 23 პრიცს. ნაძალადევის გადაღმა — ტბის პირას თავი მოიყარა საიდუმლოდ მთელი თფილისის მუშაოთა ხალხის წარმომადგენლებმა და ერთმანეთს შეჰვიცეს ერთგულება მომივალ ბრძოლაში თავიანთი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ძმობა, ერთობა, სიყვარულის დასამყარებლად..

ამ შეხვედრამ მშრომელი ხალხი წელში გიმართა, უსამართლობასთან საბრძოლველათ დარაზმა...

იმავე ზაფხულში მოხდა თფილისის რეინის გზის მთელი სახელოსნო-მოძრაობის გაფიცვა. ამ გაფიცვის დროს პირველად დარიგდა მუშებში და გაიკრა ქუჩებში დაბეჭდილი პროკლიმაციები..

გონება დაკარგულმა მთავრობამ აქაც აჯანყება ქართულ მოძრაობად გამოაცხადა!! რამდენიმე ათასი ქართველი მუშა დაატყვევა, ციხეში და სოფლებში დაგზავნა..

რუს მუშებს ეუბნებოდენ: ქართველებს თავიანთი მეფე უნდათ, ამიტომ იფიცებიან! ხოლო უცხო მუშათა შორის ურჩინი ქართველებთან ერთად ციხეში დაამწყვდია.

ქართველი მუშების ძალით სოფლებში გადასახლებამ საქართველოს დიდი ნაწილი ააშფოთა! თუ წინეთ სემინარიელების, სოფლებში გაგზავნამ ხალხი ააღელვა, ეხლა, როდესაც ოჯახებს თავის მარჩენალი შვილები შშივრები სახლში დაუბრუნდათ, ხალხი რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ ამხედრდა... აქ სოციალურ-ეროვნული კითხვა ერთად დაისვა, ყველა უკმაყოფილო მთავრობას მიესია...

1901 წლით ახალი ხანა დაიწყო!

პირველ მასს შმრომელი ხალხი, წითელი დროშებით გამოვიდა
თფილისის ქუჩებში სადემონსტრაციოდ გამოვიდა! აკოვენიუმ
მთავრობამ ეს ცროშა მუშების სისხლით შეღება...
ეს მოძრაობაც ქართველთა ეროვნულ მოძრაობათ იქნა მონა-
თლული... ქალაქის მოძრაობა სოფელს მოედო, და სოფელიც მთა-
ვრობის წინააღმდეგ დაირაზმა...

სხვა და სხვა პარტიების დაბარება

საქართველოს სოციალ-ფედერალისტების პარტიის საძირკველი ჩაიყარა 1901 წ., როცა საქართველოს რუსეთთან შეერთების ასაწლის იუბილეს დროს, ახალგაზრდათა ჯგუფმა არჩილ ჯორჯაძის მეთაურობით გამოსცა პროკლამაციები ქართველი ხალხის მიმართ. ამიუბილეს წინააღმდეგ და ეროვნული თვით-შეგნებისათვის... 1901 და 1902 წლებში ხდება საინიციატივო ჯგუფის მუშაობა: საპროგრამო დეპულებათა შემუშავება, თანამედრობით მობოლება, ფულის შეკროვება... 1903 წ. მაისში გამოდის ორგანო „საქართველო“ პარიში, აგრძელებს სხვა და სხვა ბროშურები...

ამ პარტიამ ღირსშესანიშნავი კვალი დააჩინა ეროვნულ ცხოვრებას ყოველ დარგში...

1906 წ. დაარსდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია... სამღალელობამ აგტოკეფალია მოითხოვა. რასაც მთავრობამ მათრახითა და ცხელ-ცემბირით უბასუხა... დაარსდა სოც-რევოლუციური მებრძოლი პარტია...

ერთ იღვიძებს... სასიცოცხლოდ ბრძოლის ველზე გამოდის...

მთავრობამ ყველა გადამტერა და ქვეყნაც მის წინააღმდეგ ამხედრდა...

1905 წელში თავისუფლების მხედ გამოაჭიატა. მაგრამ ჩალხის რისხება მთავრობამ ციცლითა და მახვილით ჩააქრა...

1906 წელს ხალხმა არჩევნების უფლება მოიპოვა... თავად-აზნაურობამ სახელმწიფო საბჭოში მესამრეც წლების მოღვაწე ილია ჭავჭავაძე წარგხავნა...

1906 წელს თფილისში ორა-ჩვეულებრივი ამბავი მოხდა... ქალაქის თვითმართვალობაში სახელმწიფო დუმის ამრჩევლები შეკრებილიყვნენ — დეპუტატს ირჩევდნენ... მრავალ მოქალაქეთა



შორის ერევნის მოედანზე თავმოყრილი ნაძალადევის მუშების ეროვნული რომადგენლები გაბრწყინებული თვალებით თვითმართველ კულტურული შენობის ფანჯრებს მისჩერებოდენ დინჯად. წესიერათ იდგნენ და დიად მმბის ცნობას მოუთმენლად მოელოდენ!..

ვითარცა აღდგომის სასიხარულო ზარის რეკის ხმა, ფანჯრი-დან გაისმა: თფილისიდან დეპუტატად ოჩეულია ნოე ქორდანია!..

ამ ხმის აღტაცებული ხალხი ტაშის ცემით შეეგება ქუდები მაღლა შეაგდეს. ყიჯინა, ქრიამული მოედანს მოედო. სიხარულია ერთმანეთს ეხვეოდნენ, გაუმარჯოს მუშათა პარტიას, გაუმარჯოს ნოე ქორდანიასო — ხმა მაღლა გაიძახოდნენ... .

აზღვავებული ხალხი ნელ-ნელი დაწყნარდა და თვითმართველ-ობის კარებს მისჩერებოდა... .

თვითმართველობის დარბაზში კი, ორატორები ახლათ არჩეულ დეპუტატს ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავონენ. დარბაზში შემოჭრილი აღფრთოვანებული მებრძოლი მუშა ტრიბუნიდან მშრომელი ხალხის ბელადს, ახლათ არჩეულ დეპუტატს, მის საყვარელ ნოე ქორდანიას. ცეცხლმფრქვევი სიტყვებით ეგებებოდა, მშრომელი ხალხის მოთხოვნილებების ღირსეულად შესრულებას ვალებდა, ამჩენებდეს და დეპუტატს აცრემლებდნა!..

და იყო რისთვისაც უცვლინი უზომო სიხარულს განიცდიდა... .

რაც საქართველო და მისი დედა-ქალაქი თფილისი არსებობს, ეს პირველათ იყო. რომ მთელმა თფილისი მცხოვრებლებში განურჩევათ სარწმუნოებისა და წოდებისა, რწმენისა და მიმართულებისა, ისტიკეს ის, ვინც მათ მშრომელთ უნდოდათ! თფილისმა თვისი ინტერესების დაცვა მიანდო იმის, ვისაც მშრომელი მშობელ დედასავით ენდობოდნენ!..

რა საკირველმა და სასწაულმა ძალაშ შესძლო ამ გაყინული ცხოვრების გახსობა-გარღვევა? ვინ შეაყვშირა მონურ და პირუტყვულ მღვიმელებაში მყოფი მშრომელი ხალხი? ვინ ჩასწვდა მის სულსა და გულს? ვინ შეასხა ხორცი მის გაუბედავ ზრახვებს, ვინ შთაბერა ძლიერი სული?.. მრავალ წელთა განმავლობაში ვინ აკავშირებდა მათ ცალ-ცალკე გაბნეულთ?.. ვინ რაზმავდა მათ, ვითარცა გაწერთნილ ჯრის?.. ინ თვით ნოე ქორდანია, ეს გუშინდელი „არა-ლეგალური“, ყოველიც უფლება აურილი. დევნილი ნოე ქორდანია, დღეს „ხელ-უბლებელ“ დეპუტატის უფლებით ვინ აღჭუ-

რეა და ძლევა-მოსილებით შეტერბული შეკვეთი, შვეუნის მშერობელ მშერობელ გვესთან საბრძოლველათ რა ძალამ მიავლინა?

ეს ძალა იყო ბატონ-ყმობის შემდეგ ცხოვრებაში გამოსული ქართველი ხალხი და მისი წიაღიდან წარმოშობილი „მესამე დასი“, მისი სისხლი და ხორცი.. საქართველოს დედა-ქალაქი თფილისი, სადაც წინათ სცემდა ერის პოლიტიკური მაჯა, იქედებოდა ქართული კულტურა, იქმნებოდა ერის მარადიული სული, მისი განსაკუთრებული თვისებები და თაობიდან თაობაზე ჩვენთვის გამოუცნობელ ძალით გადმოდიოდა. — უცხო შემოჭრილმა ტლანქმა ძალამ თითქოს დაანგრია, მარა ერის საგალი ისტორიული გზა ვერ შეაჩერა.. მშართველ წრეებს სახელმწიფო საჭე ხელიდან გვარდათ, ქვეყანას უცხონი დაეპატრონენ, მარა აი, თვით ხალხი შეიძრა, მშრის მზაყვრულ ზრახვებს მიხვდა, მისი არსებობის მისი „მე“-ს შესანარჩუნებლად ამძრავდა, მისი მარადიული სულის დასაცავად დაირაზდა და ლროს შესაფერი მართვა-გამგეობის მოპოვებას შეუდგა — ახალი შვეუნის მეთაურები ქვეუნის საოცემი ჩააყენა...

ეს ძალა იყო „მესამე დასი“. რომელიც ქართველმა მშრომელმა ხალხმა ძმობა-ერთობის ემბაზში მონათლა, 1893 წელს ჩვენს ცხოვრებაში სოციალ-დემოკრატიის სახელით მოევლინა და მეორე წელს, ერთი მისი დამაარსებელთაგანის. ახალგაზრდა მწერლის ეგატე ნინოშვილის საფლავზე ვითარდა იმომავალი მზე ამოაბრ-წყინა...

1906 წელს ზაფხულს, მზიან ღლეში თფილისის რეინის გზის სადგური დეპო—სახელოსნოს და თფილისის სხვა და სხვა ქარხნების მუშავით გაპედილიყო... აზრვავებულ ხალხის თვალები სიხარულისაგან ბრწყინავდნენ... ახლათ არჩეულ საქართველოს მშრომელი ხალხის დეკუტატებს მისჩერებოდნენ... ხალხისადმი მიმართულ თავის შესანიშნავ ისტორიულ სიტყვას ნორ კორდანია ასე ძთავებდა: „ჩვენ მივდივართ; თქვენ იცით, რომ ჩვენს მოვალეობას ივასრულებთ, მარა თავი არავინ მოატყუოს — მუდამ გახსოვდეთ: დაადი ისტორიული საკმენი წყდება არა მახინჯ წარმომადგენლობაში, როგორც ღუმა. არც ნამდვილ პარლამენტში, არამედ ქუჩაში, ხალხში და თვითონეული ოქვენგანიც მზათ უნდა იყოს. თავის ძოტტჩე ღორსეულად უნდა იღვეს დიად ამბების მოლოდინში“—ო!

აღტაცებული ხალხი ვაშათი და ტაშის ცემით აჯილდოს უძრავია
— ხელით ზალაში ატარებდა... ნორ კორდანის და ისიდორ უძრავია
შვილის მეთაურობით დეპუტატები მატარებელში შედობდნენ...
სადგურის ფანგრიდან გაღმომდგარი მუშათა წარმომადგენელი
აღგზნებული სიტყვით დეპუტატებს პეტერბურგისაკენ აცილებდა...
მატარებელი დაიძრა, ხალხი აზღვავდა, აღელდა, ყიჯინა პაე-
რში გაისმა: გაუმარჯოს ჩევნს მებრძოლ დეპუტატებს, გაუმარჯოს
ჩევნს რევოლიუციონურ თფილის, ისმოდა ერთმანეთში შერეული
ხმა, თვალცრემლიანი დეპუტატები და მებრძოლი ხალხი ერთმან-
ეთს სცილდებოდნენ...

ამ წელს და ამ ისტორიულ დღეს, სინათლეშე გამოეფინა,
სამოქმედო სპარეზზე გამოჩნდა ცხოვრებაში ჩაბმული. მის შუა
გულში შეკრილი, დაკოტავებული მებრძოლი „მესამე დასის“ მუ-
შაობა, მისი ყრველ დარგში მოღვაწეობა, ჭობოხეთურ პირობებში
ნამოქმედარი... არალეგარულიდ მოქმედმა პარტიამ, ისეთი უნარი
ვამოიჩინა, ისე მიჩან-შეწონილათ იმოქმედა, რომ როცა ხალხს
საშუალება მიეცა, ერთხმათ მის მესვეობრ-მებრძოლ პარტიას ვა-
ჰყვა, სულითა და გულით მიენდო...

მიენდო და არც მოსტყუვდა...

„ვინ დასთვალის ჩევამი ქვიშა ოა ან ცაზე ვარსკვლავებით“
→ მბობს პოეტი, ვინ დასთვალის და ოღნიშნოს ის მსხვერპლა,
ის სასახლო ბრძოლები. რომელიც ამ „მესამე დასის“ მიერ გაშ-
ლილ დროშის ქვეშ წარმოებულა ან ის ცრემლები, რაც მსხვერპლ-
ათ და სატერლათ დაღვრილან, ან ის წლები. რაც ციხე-ციმბირში
მებრძოლთა მიირ ასტარებულა, ან ის ნორჩი ახალგაზრდობა, რო-
მელიც მის ლოჩუნგის ქვეშ შეწირულა?.. ვის არ ააღფრთოვანებს
ამ დროშის ქვეშ ნახული სასახლო დიაფი ბრძოლები?..

ამ არჩევნებით დაიწყო მშრომელი ხალხის თვეისუღლება და
აქვე ჩაეყარა საფუძველი კავკასიის სხვა და სხვა ერთა ძმობა-ერ-
თობასაც...

0401 პაციანაძის მოქალა 1907 წ.

როგორც მზიან დარში ერგვინვა, ისე მოულოდნელად გაისმა
ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი, რომელმაც მთელ საქართველოს
თავზარი დასცა!..

მწუხარება უჩომო იყო, აღშფოთება და დაბნევა დიდი..

ერმა თავი ობლად იგრძნო, შეკრთა.. ასეთნაირად გამოღვიძე-
ბულ ხალხის მოძრაობიდან რა სიკეთე იქნება? რა სიკეთე იქნე-
ბა, სადაც ერის მამის მოკვლა შესაძლებელია!..

ასეთი შეკრთომა ქართველთ. ერეჯლე მეფის დაქარგვის შემ-
დეგ არ უგრძნიათ... იმ უბედურებით აღშფოთებული პიროვნებები-
ბი და გეფუფები, საერთო მტრის ვერ დამნახავნი, მათი თავმოყვა-
რების დასაკმაყოფილებლად თავიანთ ძმებზე შურის საძიებლად
მიიწევდნენ და მით მათდა უნებურათ, საერთო მტერს ხელს უწ-
ყობდნენ...

მთავრობამ სცადა პარტიათა შორის ბრძოლის გაჩაღება, ძმათა
შორის შურის ჩამოგდება, მით თავის გახრწნილ სიცოცხლის გა-
დარჩენა, მაგრამ დამწუხრებული ქართველი სული ერში გაჩნდა!
შურ-მტრობას სიყვარულმა სძლია.. პარტიიები და პიროვნებები
ზე მაღლდნენ, საერთო, სამშობლოს საქმე მაღლა დააყენეს.

გამწარების, დაბნევის და სულ-მოკლეობის.. ლანძლვა-გინების
ხმაში გაისმა საყვარელი პოეტის — აკაის ჭეშმარიტების მღაღა-
დებელი სიტყვები: „ნუ მიწამლავთ მოხუცს გულს“-ო..

„შესაძლებელია თითო-ოროლა გარეწარი ყოველ ერში იყოს,
მარა სასიკეთოთ გამოღვიძებული ქართველი ხალხი აქ არაფერ
შუაშია“ ო!..

შთავრობის მზაკვრული განზრახვები, მის ბოროტ გულში და-
სამარლა, ქართველმა პარტიებმა, ჯგუფებმა, პიროვნებებმა უდი-
დესი მწუხარების უამს ერთმანეთს ძმურათ ხელი გაუწყდებოდა
დებულ მამულიშვილის ღირსეულათ დაკრძალვას შეუდგნენ..

საქართველოს ყოველ კუთხიდან ხალხი თფილის მოაწყდა,
დიდებულ სიონის ტაძრის გარშემო მოზღვავდა, ერის მამის—ილიას
ცხედრის გარშემო შეიკრიბა...

ტრალიულად დაღუპულ მამულიშვილის პანაშვიდის გადახდის
შემდეგ, ქართველ მოღვაწეებმა ილიას ცხედარი სიონიდან გამო-
ასვენეს... კუბოს მთავარმართებელი. ვარანცოვ-დაშკოვიც ხელს
კიდებდა, ქუდ-მოხდილი სიონის კარი-ბჭემდე მოჰყვებოდა...

სიონიდან მთა-წმინდის მონასტრამდე ქუჩები დამგლოვიარე-
ბული, შავადმოსილი ხალხით იყო გაჭედილი, ორ რიგათ ჩამწერი-
ვებული... ცხედარს წინ მიუძღვდა შავი სამგლოვიარო დროშა.
მგალობელთა გუნდი, სამღვდელოება; ყვავილებითა და გვირგვი-
ნებით შემკული ცხედარი ხელით მოჰქონდათ, რომელსაც დამწუ-
ხრებული ქართველი ერი ცრემლის ფრქვევით მოაცილებდა, შა-
ვათ მოსილი ქართველი მანდილოსნები იმდულრებოდა. ქუჩაში
მდგომი ხალხი ქვითინებდა, გულის სილრმიდან ამოხეთქილი ოხვ-
რა და კვნესა დედა-ქალაქ თფილისის მდებარეობას ედებოდა..
მამა-დავითის სამრეკვლოდან სამგლოვიარო ზარის ხმა გულ-შემ-
ზარავ ამბავს დიმიტრი ყიფიანის ყვლდამას ამცნობდა, მასავით
თავგატეხილ, უდიდეს მამულიშვილის მისაღებად ემზადებოდა!..

ვითარცა ნისლი, მამა-დავითის მთის კალთებს ისე მოედო
ქართველი ხალხი და მშვენიერ ტაძრის გარშემო შემოკრბა. ილიას
ყვლდამის წინ მუხლ-მოყრილი, უღვთოთ გატეხილ მირონცხებულ
შუბლს ეამბორებოდა, გვაპატიე, დიდ-სულოვანო მამაო ილია —
ეუბნებოდა.... სამშობლოს განთავისუფლების ფიცი იქ უსიტყვოთ
იდებოდა..

რჩაში ციტატების სახელი

რუსეთის აღელვებულ ზღვაში ჩვენი ქვეყანა ვითარდა პატარა, მარა უშიშარი ხომალდი, დაქანაობდა... თავისუფლებისათვის მავდარ კულ მებრძოლთა დასებით ციხე-ციმბირი ივსებოდა...

შებრძოლი საქართველო საშინელ რეაქციის ცეცხლში იჭრდა... დამსჯელი რაზმების მიერ ქართველი ერთ ნადგურდებოდა... ამ პირობებში ქართველმა ერმა მაინც შესძლო მეორე, მესამე და მეორთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არჩევა...

ჩვენი მებრძოლი ერის სასახელო დეპუტატები სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან საქართველოს ამაოხრებელ მთავრობის საზიდარ მოქმედებას ააშკარავებდნენ, სამარცხვინო ბოძე იკრავდნენ!.. რევოლიუციური თფილისი ხალხის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას ყოველგვარ საშვალებით, „ფრჩხილითა და ქბილით“ იცავდა... საზოგადოებას ჯოჯოხეთ პირობებში გამოცემულ გაზეთით ამხევებდა, ქვეყანის ნაძირალა-გათახსირებულ ბრძოებს ებრძოდა... რეაქციის ხელმძღვანელ სამხედრო შტაბის უფროსს ვრიაზნოვს, არსენა ჯორჯიაშვილის ხელით ბომბით იშორებდა... მანათობელ ვარსკვლავივით, წყვდიაღში მყოფ ქვეყანას ევლინებოდა... მთავრობა პროვოკაციის გზით მოქმედებდა, კავკასიის ერთა შორის შურს სთესავდა, რევოლიუციონურ მოძრაობის ჩასაქრობათ სომეხ-თათართა შეტაკებას აწყობდა. ერთა შორის ქმობა-სიყვარულს სისხლში აღრჩობდა..

მაგრამ მშრომელი ხალხი მოპოვებულ პოზიციას არ სთმობდა... დროს უცდიდა... მთავრობასთან უკანასკნელ ბრძოლისათვის ემზადებოდა...

რევოლიუციონურმა ხალხმა შესძლო ციხეში წამებულის და იქ ჩვენი შევარდენის, ირ. წერეთლის, მკლავზე გარდაცვლილ ქართველი ერის და რევოლიუციონურ თფილისის საყვარელი დე-

პუტატის არჩ. ჯაფარიძის მოსვენება, მებრძოლ ნაძალადევიზ  გამოცემაში
ფლაოზე დაკრძალვა.

მთელი რევოლიუციონური თფილისი ამ ძვირფას გამოცემაში
გულჩათხრობილი მიყვებოდა... ხალხის იმედიანი გამოხედვა ამ-
ტკიცებდა, არჩილის ანდერძს აასრულებდა... მისი საყვარელი დე-
პუტატის, ევგენი ვეგეტეორის, აქ ყოფნა, ჩვენი დეპუტატების
„დუმის“ ტრიბუნიდან ცეცხლმფრქვევი სიტყვების წარმოთქმა,
ამას ადასტურებდა...

ასეთივე სასახელო და ბრძოლის ნების გამომხატველი იყო
შემდეგში საკატორო ციხეში დაღუპული მეორე დუმის დეპუტა-
ტის ბიქენტი (ჭოლა) ლომთათიძის და სევერიანე ჯუღელის ნეშ-
თის მოსვენება თფილისში: ჭოლას ნაწერები უაღრესათ სამშობ-
ლოს და კაცობრიობის სიყვარულით აღბეჭდილი, მისი ნერ-
ვებით დაწერილი, გრძნობის და სულის გამოხატულება! აქ ხალ-
ხი და მწერალი—მეთაური გაერთიანებულია—ხალხის შეგნება მა-
ღალ დონეზე ასულია...

პპაპი ზერეთლის იუგილა

ვითარცა ჭანლ-ბურუსით მოცულ დღეში გამოკრთობილმა შხემ, ერმა ჰპოვა სახალმსო საგანი და წამით სადღესასწაულოდ მოემზადა...

მთავრობამ ვერ სცნო შესაძლებლად იყერძალა-ეს დღე და ქართველმა ერმაც კარგად-გამოიყენა იყავის იუბილე ეროვნული სულის გასაღვიძებლათ...

ხალხმა ის ეროვნულ ზეიმათ გადააქცია... ამ დღეს და მის მომყოლ თვეებსა და წელს—იუბილე ხომ საქართველოს ყოველ ქალაქში, დაბა-კუთხეებში იქნა გადახდილი — ნამდვილი შევება და ლხინი იყო გულიდან აღმომხდარი სიყვარული; მთელი ხალხი, მთელი ერი ზეიმობდა, იუბილიართან ერთად სტკებებიდა...

აყავი წერეთელმა ამ ხალხიდან ამოიღო თავისი პოეზია, ტი-პები; საქართველოს შშვენიერებამ ბუნებამ წარმოშვა პოეტი, შთა-ზერა სული ვითარცა ფუტკარი მდელოზე სურნელოვან ყვავილებს ფუნჩულა კოკორს უფურჩქნის, ნექტარს აგროვებს, ადამიანს თაფლს, მლოცველს სანოელს უმზადებს, ისე აკავიმ ქართველ ერ-ში იპოვა სულიერი საშროო და მით საკურთხეველშე ანთებელ კელაპტარეცით სამშობლოს წინაშე გამობრწყინდა.. საქართველო აკავიში განსახიერდა, აყავი საქართველოს სიტურდით შეიმქო, გაფაქიზდა. ეროვნული სასოფტ-სათხოებით, მისი მაღლით შეიმსა და ვითარცა ნამდვილი სულიერი მამა, უმაღლესი პოეზიით, უბრალო, სტკორ-ქამანჩით. ხალხური სალიმურით მშობელი ერი ღარტკბოւ.

რა გასაკვირველია ერმა თავისი ზნეობრივი სიფაქიზე, მათა-ლი სულის თვისებები, სილამაზე, წერიალა-კრიმანჭულის ხმები, აწყობილი მარჯალიზი—რითმები და მასში ჩაქსოვილ-ჩაქარგული ეროვნული ზრახვანი აღვილად შეითვისა და როგორც შეფერის



მაღალ არნებათა მოდგმას, უმაღლეს ადამიანთა განსაზღვრული ქმნილებას, აკაკის, არაჩვეულებრივი ზეიმი გაუმართა, სითხი სი ყვარულობით შეეგება!..

ეს დღე იყო მთელი ქართველი ერის მიერ, თავისითავის ღრა ასებათა პატივისცემა, მისი სულის აღმაფრენა! აკაკი და ხალხი აქ ერთმანეთს, ძველ ნაცნობ პოეზიის მთაზე შენვდნენ, ერთმანეთი გაიგეს... .

— „შემცდარია ვინც გულს იტეხს, წესი არის და ბუნებაო“... ამბობდა აკაკი იმათვის, ვინც სასოწარკვეთილი და უიმელი იყო ქართული საქმისათვის... გალვიძებულ ხალხს თვითონ უკვირდა ამდენი ხნის ძილი... აკაკი ერთი მისი საუკეთესო გამომლებიძებელთაგანი იყო და თვალმოფრმვნეტილი მადლიერი ერი მთელი მისი არსებობით, გატაცებულად, სიხარულით, როგორც ქართველის ღია და ლალ ბუნებას შეეძლო, ზეიმობდა, საყვარელ იუბილიართან ერთად ქაჭეთის ციხის ასაღებათ და ნესტან-დარეგანის გასათავისუფლებლად ემზადებოდა!..

ამ ღლესასწაულმა ხალხს თავისი პატივისცემა აგრძნობია, ღრა ასება და მოვალეობა შეაგნებინა. იმედი გაუორკეცა, ააღფრთოვანა, ძმობა-ერთობის და უმაღლეს პოეზიის ემბაზში მონათლა!

„არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს!“ — მოეტის სიტყვები გამართლდა:..

ოო, რა მანძილი იყო რაფიელ ერისთავისა და აკაკი წერეთლის იუბილეთა შორის?!

ეს იყო მეორე იუბილე.

აკაკი წერეთლს მოვა საყვარელ ვაჟა-ფშაველას იუბილე, რასაც ერი მეტად თფილი გრძნობით შეხვდა და ჩვენს მოის არ-წიგს ია-ვარდით გზა მოუფინა... მისი განსაკუთრებული პოეზიის სილრმე-სილამაზებს ერი მისწვდი. ზღაპრად მოთხრობილ ამბებში თავისი თავი დაინახა, თავის გადავვარება, დაბექავება ვაიკვირვა, მომავალზე ზრუნვას შეუდგა... .

ვაჟა ქართველ ერში ისე აღიმართა, როგორც მისი ღიალი მოუბინაც ანკარა წყარო მოსჩერდს, არემარეს ახალისებს, და აცოცხლებს..

— „ვაი დედასა ყვავებო, რა ღროს ჩამიგდეთ წელშია!“ ბევრ ქართველს ყოქვაშს... იმედიანად არიან, რომ მოვა დრო და მშრის ბუმბულს ნახვენ გაბნეულს მთებში... .

ანეთი ზრახვებით და გრძნობით აცილებდნენ ვაჟას იმერუშვილისა
დან და მისი ჯავარიანი თვალ-ტანადობით სტკბებოლნენ...

ეროვნული თვით-შეგნების იუბილე დამთავრა ქართველშა
მწერალმა ქალმა ეკატერინე გაბაშვილისამ და ინასტასია თუმანი-
შვილის ისულმა წერეთლისამ.

ანასტასიამ ქართველ ბავშვებს შშობლიური სითბო და ალექსა
შთაბერა თავის საბავშვო უურნალ „ჯეჭილი“-ს შემწეობით და
მით „ცაფირუზ ხმელეთ ზურმუხტი“ სამშობლო მოელ თაობას
შეაყვარა...

ეკატერინე გაბაშვილის იუბილემ, იუბილიარის მიერ საქართ-
ვილოს ყოველ კუთხის მოვლამ ქართველი ქალები გამოაფხისლა,
ქართველი დედის ღიად მოვალეობაზე ჩააფიქრა...

ეს ორი მანდილოსანი მეოთხმოცე წელთა იმ ქალთა წრეს ეპ-
უთვინიან. რომელნიც მესამოცე წლის მოღვაწეებს მხარში ედგნენ,
საჩოვალო ასპარეზზე იღწოდნენ. თეატრში, მწერლობაში, სკო-
ლებში თავდაცებულად მუშაობდნენ. ძველ დედების ზნესა და
თვისებებს მომავალ თაობას გადმოსცემდნენ... სამშობლოს სიყვა-
რულს - ივრცელებდნენ...

ვისაც ერის კულტურის გაცნობა სურს, მათ სკოლის მასწავ-
ლებლების ღირსებას და მათთან ხალხის დამოკიდებულება-განწ-
ყობილებას უნდა გაეცნონ, ერი. რომელიც ღირსეულად თავის
მასწავლებელს აფასებს, მაღალი კულტურის მაჩვენებელია და ეს
გამოჩნდა ჩვენი პადაგოგი-პესტალოცი იაკობ კოჩებაშვილის და-
საფლავების ღროს...

იაკობ კოჩებაშვილი, რომელმაც „დედა-ენა“ გამოსცა, მოელ
თაობას ნამდვილ დედა-ენას ასწავლიდა, სამშობლოს სიყვარულს
„ამოსალების“ დაწყებასთან ერთად საუცხოოდ აწერილ ბუნების
სილამაზით აყვარებდა, ჩვენი სასხელო, თავდაცებულ მასწავლე-
ბლების თანაბატრებით შესაფერ სახელმძღვანელოებს ადგენდა,
იაფად სცემდა, ხალხში ივრცელებდა, რუსის თავხედ სამოსწავლო
უწყებას ებრძოდა. ქართულ სკოლის, მის ენას ვითარცა მხეცის
წინაშე გამწარებული დედა იცავდა...

რა საკვირველია, რომ ასეთი მამა-მოღვაწე, მომავალი თაობის



აღმზრდელი, მისი ნორჩი აგებულობის მომვლელი, სათუმთავრული ნობის კეთილათ გამფურჩქვნავი, ერის გადაგვარების, შშეცემულ პოლიტიკის მატარებელის—კავკასიის სამოსწავლო უწყების წინ, ხმალამოლებულ მებრძოლსავით მდგომი იყობი, — ერმა ღირსეულით დაკრძალა, ყვავილებითა და გვირგვინით ამ საარაკო აღამიანის ცხედარი შეამკო!..

საყურადღებო ის არის, რომ ინტელიგენცია, მოწინავე საზოგადოება კი არა, ხალხი, ფართო მასა დაესწრო... შვე-ბნელ ღრმში, გადაგვარების ხანაში, წერა-კითხვის უცოდინარ, თაბეჩავებულ ხალხში, ამ უბრალო ოჯახიდან გამოსულმა ადამიანმა უდიდესი ლამპარი აანთო და ხალხს გონების გასანათებლად წინ გაუძლევა!..

ამ სამგლოვიარო დღით დაგვირგვინდა ქართველ მოღვაწეოთა თავგანწირული მოქმედება და გამარტინებელ მზადვრულ პოლიტიკისთან ბრძოლა...

ეს ბრძოლა, მუშაობა საზოგადოებაში, ოჯახში, სკოლაში, შინ და გარეთ, იყო მეტად ბრძნული, ერის სულის, მისი არსებობის გადასარჩენათ წარმოებული...

ეროვნული ნიჭითა და მაღლით მოსილ მოღვაწეებს მათ მიერ გათვიოცნობიერებული ხალხის შვილები მხარში მოუდგნენ და არსებობისათვის დიადი ბრძოლა გაჩამდა...

ამ ბრძოლის შესავალში ვთარცა გასხივოსნებული, დიადი ჩამაგალი მზე, ისე ჩაესვენა სამშობლოს მოჭირნახულე აკაკი წერეთელი... აკაკის კუბოს მაღლერი ერი მისი ანდერძის ასრულებით ეთხოვებოდა...

ასევე ეთხოვებოდა ამაზე წინ ქართველი ხალხი ერის საამაყო შვილს—არჩილ გორგაძის ცხედარს...

საერთაშორისო ომში რუსეთის ტახტი—მზადვრობისა და ვერაჯობისა დაქმით... ფრონტებიდან დაბრუნებული, ომში ვამწარებული. შინ მიმავალი მოზოგვებული რუსის გარი რევოლუციურმა თვირთილისა დიდი სიბრძნით, მოხერხებით თავისან მოიშორა, თვირთისებ არსენალი იყოო. შიგ გამაგრებული რუსეთის მხედრობა იქიდან გამოაძევა, თვილისი განადგურების ვადაარჩინა... ყოველ მხრივ შემოსეულ მტერსა და შინ ინარქიის შეებრძოლა, სასიცოც-

ხლოთ და შემოქმედებისათვის გამოლვიძებული ერი თავის მოწესრიგებას შეუდგა...

ქაოსად ქცეულ ქვეყანაში წესიერების დამყარებასთან ერთ-
ად ერმა ძეველი სახელმწიფო ბრივი ნიჭი გამოიჩინა,,. პირველად
ერის გონიერის გამანათლებელ ლამპარს მიაშურა, სათავად-აზნაუ-
რო გიმნაზია უმაღლეს სასწავლებლად—უნივერსიტეტად გადააქცია,
შიგ ქართველი მეცნიერები შეკრიბა, ეროვნულ კერაზე უბრწყინ-
ვალესი ლამპარი აანთო...

ამ უდიდეს დღესასწაულს მთელი ქართველი ხალხი აღტაცე-
ბით შეეგება, მშრომელი საქართველო თავის წარმომადგენელის
პირით აღფრთოვანებული ულოცავდა...

დაარსდა ეროვნული საბჭო, სადაც საქართველოს სხვადა-
სვა პარტიები წარმომადგენლებით გაერთიანდა...

ქართველმა თავის აზნაურობაშ თავის მრავალ მილიონად ღი-
რებული ქნება, სამკული, საუნჯე და ფული უცხოეთში კი არ
გაზიდა და თან კი არ გაჰყეა, არამედ თავის წარმომადგენელის,
ღირსეულ და თავდადებულ კოტე აფხაზის ხელით ეროვნულ საბ-
ჭოს მიართვა, უალრესთ დემოკრატიულ საქართველოს სახელმწი-
ფოს აღდგენას საფუძვლად დაუდო!..

ასე იყო აღზრდილი მთელი თაობა საშშობლოს სიუკარულ-
ზე... ეს ქართველის რაინდობასა და მის კეთილშობილებას, მის
სულის სიმაღლეს ადასტურებდა...

ხალხი სადღესასწაულოდ ემზადება...

ჩართვები მრის შეღის გამოგრაფინება
 და
 მისი სამუშაოები დროშის გამოჩინება.

1918 წლის სუსხიანი ზამთარი თავდებოდა, განაფხული დაჭ-
 ებოდა, მიძინებული ბუნება იღვიძებდა. კელმინდორი ყვავილებით
 იხატებოდა, მთის კალთები სპარსულ ფარლავსავით იქარგებოდა!..

კავკასიონის მაღალ ქედებზე თოვლი დნებოდა, მდინარეები ახ-
 ვირთებული მოქუდნენ, კალაპოტიდან გადადიოდნენ, თოვლ-ზვა-
 ვისაგან ჩალექილ კიდე-ნაპირებს პირს ბანდნენ, ხეობას ალამაზე-
 ბდნენ..

ღელები, წყაროები ბაღში შეუიღოთ მოქროდნენ: გამოცოც-
 ხლებულ ბაღსა და ჭალებს ახალისებდნენ...

მშრომელი ხალხი ზვრებში ჭიგოს ასობდა, საყანე მიწის ამ-
 ზადებდა... ახლად გამსხლილი „ობოლი ვაზი“ მეტის ლხენით იც-
 რემლებოდა!..

სერებზე კოხტად გადმოდგმულ სახლების წინ თეთრად გადა-
 პენტილი ალუჩის, ვაშლის ხეხილები თაიგულივით შვენოდენ! ვე-
 ნახ-ბალებში ახლად გაკვირტულ-გაშლილ ნორჩ პოწკვებზე ჭირა-
 მი, ატაში, ნუშის საუცხოო ყვავილები მხის სნევებზე ელვარებდა,
 ოვალს გრაცებდა, სულსა და გულს გიტკბობდა!..

ცის კამარაში ტოლად აზიდული ილვის ხეების პაჭია ფოთლე-
 ბი ნიავზე შრიალობდა, ეზოებს ამკობდა!

მუშა ფუტკრები აყვავებულ მინდვრისკენ მიეშურებოდენ —
 ადამიანისათვის თაფლსა და შემომქმედისათვის საქებ-ხადიდებ-
 ლათ სანთელს ამხადებდნენ!..

ძმურად ცის კამარაში. ბუნების დასამშვენებლად ნაძვ-კვირა /
როსის ხეები აზიდულიყვნენ, უსიტყვოთ, უხმოთ ლოცულობენ ქველა
ჭრელი პეპლები ახალ გაშლილ მინდვრის ყვავილებს გვერდის
ვინ თავებს უფურჩქვნიდნენ... ბალახების ძირში ჭია-ლუა ფუსფუ-
სებდა... ჭიაჭველა საზრდოს დაექებდა, გამალებული მუშაობდა...
ინდოეთიდან მოფრენილი მაღაზი-მერცხლები ლაქვარდ ცის კა-
მარაში დასრიალობდნენ, სახლების დერეფნებში ბუდეებს აგებ-
დნენ, ჭიკ-ჭიკით არე-მარეს ახალისებდნენ... სახლების წინ პარმა-
ლში ახლად გამოვიძებული ბავშვი მერცხლის ჭიკ-ჭიკს შეხარო-
და, მის სამო ხმას აყურადებდა, კროჭინობდა, წოდინობდა, არტა-
ხედან ამოშობილ ფუნჩულა თითებით აკვნის სახელურზე ჩამოკი-
დებულ ტატილას ათამაშებდა!..

მაღალ ნიგვზის ხის პოწყვებზე კოხტად წამომჯდარი ჩხართვა
ზარსავით წკრიალა ხმით უსტვენდა!.. ცაცხვის ტოტზე სევდიანი
ხმით შაშვი ლოცულობდა... წიფლის ფოთლებში შემაღული მო-
ლაღური „მვილო-გოგია“-ს ნაღვლიანი ხმით გაიძახოდა!... ყვაკი
და ქორი მაღალ მუხის ტოტებში გამხმარი ფიჩხისავან ბუდეს აგე-
ბდენ, გუგული ხალხს სამუშაოთ მოუწოდებდა: „კაფე-თესე“-ო
გაიძახოდა!..

ზურმუხტად ქცეულ მთის კალთებზე ცხერის ფარა გაშლილი-
ყო, დიღის ცვარით დანამულ ნოყიერ ბალას პუწკნიდა, დედის
წინ ხუჭუჭი კრავი ცმუტავდა, თიკანი პეტელობდა, აქეთ-იქით
ეშვაჟურ თვალებს აცეცებდა—დედას ეძებდა!.. ყურებდაჭრილი
დიღრონი ბონძვერა მურიები ცხერის ფარას გარს უვლიდნენ,
ტყის ნაპირებს ყნოსავდენ, მტაცებელთაგან უწყინარ ცხოველს
იცავდენ.. მაღლობ სერზე მწყემსი ლარად წამომდგარიყო, სული-
სა და გულის დამატებობელ სალამურის ხმით არე-მარეს აღვიძებ-
და, ტურფათ შემცულ ბუნებას, ადამიანისათვის გამოუცხობელ,
საკვირველ განვებას სხვა და სხვა პანვებით აქებ-აღიღებდა!..
თოვლით გადალესილ მაღალი მთის წვერვალის ზევით, ლაქვარდ
ცის კამარაში არწივები დიადად წრეს ავლებდნენ...

ჭილაში ხოხები დაძრებოდენ, გვინძლში კურდლლის ბაჭია
ყურებს აცევიტინებდა, ნოღარში მტრედ-გვრიტები ღუღუნობდ-
ნენ... გამთბარ მდინარეებში თევზები „სატობოთ“ შემოდიოდა,
კიბო, ცხრა-ფეხა ლელეებში დაცოცავდა...

მანდილოსნები ეზო-სახლ-კარს ასუფთავებდნენ, ქმრებს მუ-

შაობაში შველოდნენ, პაწია ფუნქულა ბავშვებს აკვანში და ეუბნებოდნენ, დასაძინებლით „იავნანა“-ს უგალობდნენ მარტივე შობლოს მომავალ თაობას უზრდიდნენ...

სიცოცხლის მომნიჭებელი, ცხოველ-მყოფელი-მზე კავკასიონის თოვლით მოსილ მაღალ ქედს იქით გადაეფარა, უკანასკნელი სხივები ყინვარ-იალბუზის მწვერვალს მიაფრქვია, თეთრათ მოსილი სპეტაკი თავი გადაუკოცნა, ცის ტატნობზე გარული მსუბუქი ღრუბლები წითლად შელება და უსაზღვრო სივრცეში ჩაესვენა...

აღმოსავლეთით სიბნელე ჩამოწვა, დასავლეთით მზის ჩამავალ ცის სიწითლეში შუქურ-ვარსკვლავი აციმციმდა, ჯვარივით სამშობლოს თავზე, იმედის მომნიჭებელად გამოკრთა! შებინდებისას კავკასიონის მაღალი მთები ცის გუმბათს მიებჯინენ. სამშობლო, მავნე სულთავან დასაცავათ შემოქალტეს...

ღამით, მაშერალ სამშობლოს ტკბილად ეძინა.. ფირუზი ცათალათ გადადგომოდა, ვარსკვლავები გამალებით ციმციმობდნენ.. ვარდის ბუქეში ბულბული ეშხით უსტევნდა, გალობდა, გულით ხარობდა—სატრეფოსთან შეყრას ჩქარობდა...

დაღმიდა... ყოველი არსი განისვენებდა.

დასავლეთით გადაშლილ ზღვის ზედაპირზე ნიავმა კუმება აათამაშა, სამშობლოს ზღვის კიდენაპირებს მიესალბუნა!

ჭორობის ხეობით, აქარა-გურიის მთებში დაქროლა, ტბეთის დიდებულ ტაძრის ნანგრევების ხავსმოკიდებულ ქვებს მიეალერსა, კედლებზე გაუჟუნებულ სუროს ჭორობი შეუფურჩქნა, რაღაც საიდუმლო დიადი მძავი ახარა! აქარა-ქობულეთის, შავშეთიმერხევის ციხე-კოშკებს, ისტორიულ ძეგლებს, სასტიკ ცხოვრებაში მიღებული ჭრილობები დაუკოცნა, სასიხარულო ამბავი ყურში ჩაუფუჩუნა და მაღალ მთებს თავზე გადაევლო. გურიის შემოქმედის, ჯუმათის, ლეხაურის ციხე-მონასტერებს ეამბორა, საკვირველი ამბავი აუწყია! ნინოშვილის საფლავს უმახარობლა... ბათომის მდებარეობა წამით მიმოიქროლა, თამარის ციხეს თავი გაღუკოცნა, კოლხიდის ნაპირებით აფხაზეთში მიქროლდა, ბიჭვინტის ნანგრევებს, წარსული დროის განახლება უმახარობლა, რუსების მიერ დანგრეულ ლიხნის სასახლის მიდამოები გაქოცნა, ილორის წმინდა გიორგის ძლევა-მოსილება უსურვა... მდინარე



ენგურით შველი კოლხეთი და განახლებული სამეგრელო მცირებულება
ლო, ჰყონდიდის ღიღებულ მარტვილს და სახელოვან ძველ უძველებებს
ლებს კვლავ აღდგენის დღე ახარა..

იმერეთი წამით მიმოვლო; ბაგრატის ტაძრის კედლებზე ფო-
თალო სურო სასიამოვნო მმით აშრიალდა, თავისებური ენით ამე-
ტყველდა... იქვე წმინდა გორგის ეკლესის გალავანში შეიჭრა,
ობოლ მამია გურიის საფლავებ ეამბორა, მისი „ფიცი“-ს აღსრუ-
ლება უმახარობლა!.. მოწამეთაში არგვეთის გმირები სიხარული-
საგან აკლდამებში შეიძრნენ! ღიღებულ გელათის საკურთხეველის
აღსავლის კარებზე დავით აღმაშენებელის და თამარის სახე ნათ-
ლით გაბრწყინდა!.. გაბრიელ ეპისკოპოსს, მისი შესანიშნავი ქადა-
გების „ძმობა, სიყვარულის და კაცთაშორის სათნოების“ მოახლო-
ება უმახარობლა... მიუქედავად საუკუნეთა განმავლობაში ბრძო-
ლისა შორაპნის „მოდი ნახე“-ს ციხეები კვლავ ამაყად თავიანთ
ისტორიულ სადარაგოზე იღვენ... საჩხერის ჭრუჭის, რაჭა-ლეჩი-
ხუმის, ნიკორწმინდის მონასტრები თავიანთ ლალ და დარბაისელ
მცხოვრებლებსავით საკვირველ ამბავს სილინგით ისმენდნენ! ნიავა
ლაფთარის მთით თავისუფალ სვანეთში შეიჭრა, უშბას, თეთ-
ნულდს მყერდზე მოეხვია, სპეტავი თავი დაუკოცნა, ტყვეობაში
მყოფ საქართველოს განთავისუფლების მოახლოების ამბავი ამც-
ნო... წმინდა კვირიკეს ეკლესიაში გადამალულ თვალმარვალით
მოჰედილ ქართულ ხატებს, მათი საქვეყნოთ გამოჩინების დღის
მოახლოება ახარა, მთელი სვანეთის ტაძრები რაღაც საიდუმლო
ამბავმა შეარყია...

ზემო საქართველოში ნიავი მოწიწებით სეეტიცხოველის დიალ
მცხეთის ტაძარს ეამბორა, მისი გარშემოვლებული ბურჯები სასი-
ხარულო ამბით გამოიღვია, საარსებო ბრძოლაში მიღებული
ჭრილობები სანატრელ ამბის გავინებით დაუამა... წმინდა ნი-
ნოს სამლოცველო მის ობოლ ჯვარს თაყვინი სცა: აქ ტკბილ ქარ-
თული ლოცვა-გალობის ღაბრუნება უწინასწარმეტყველა... მეტე
მირიანის კუბოს ძეველი საქართველოს განახლება ამცნო... მცხე-
თის ტაძარში ერეკლე მეფის ეკვდერზე გაეკრა, საქართველოს
მკედრეთით აღდგომის მოახლოვება უმახარობლა: მცხეთის მირო-
ნი იცხო, მისი მაღლით შეიმოსა და ღიღებულ ტაძრების ციხე-
კოშების სამახარობლოდ დაჭქროლა... შიო-მღვიმის ჯვარის მო-
ნასტერს, დიდ გორის ციხეს და იქ ახალ თაობის ახლად გაოხრილ



სამარეს მიეალერსა, სანდრო კეცხოველის და გიორგი მაჩუბელიშვილის სავანე გაპოვცნა... მყინვარის ხეობა მიმოიქროლა, ლარსის და დაუკაცია მების ტაძრებს, მათ ციხე-კოშკებს კვლავ დარიალის ხეობის თავის სადარაჯოზე დადგომა უსურვა, ილექსანდრე ყაზბეგის ძეგლს ხაზი გადაუკოცნა...

ზარზმის მონასტერს, მის გადამტცრეულ ჭვარს მიესალმუნა, უფლის ციხე, ვარძიის მონასტერი, ზედაშენი, მარტყოფი სიხარულის ამბით გააოცა! მარტყოფიდან ცივ გომბორის მთით წმინდა ნინოს მონასტერს თავს გადაევლო, დიდებული წამის მოახლოება ამცნო... ალავერდის, შუა-მთის მონასტერს ბრწყინვალე ღლის გათენების ამბავი უმახარობლა: ფშავ-ხევსურეთის „ლაშა გიორგი“-ს დღეობებს მათი ძლევა-მოსილობის, მათი კვლავ თავისუფლათ გაშლის ამბავი მიუტანა, თუშეთის „ბახტრიონი“-ს ციხეს, მის მაღალ მთებში თამარ მეფის „ცხრა კარი“-ს სახახლე ტაძრის დახავსებულ კედლებს განახლების დღე მიუღლოცა, ახმეტის ციხე-ტაძრით, ილაზნის ველით საინგილო და ყვარელის მთები მოინავრდა, მისი სასიქადულო შვილის სამახარობლოთ თფილისში გამოქროლდა...

სიონის, მეტეხის, დიდუბის ტაძრებს წარსული დიდების დაბრუნება უმახარობლა, მამა-დავითის მთის კალთებს გაეკრა, მის გულ-მკერდში გამოდგმულ—ახატულ მონასტერს ჭვარის ძალი გაღაუკოცნა... დიმიტრი ყიფიანის ძეგლს ამბორ უყო, დიადი ამბის მოახლოება ახარა... ილია ჭავჭავაძის მწეხარე დედის ძეგლს, ცრემლი შეაშრო, მისი გოდების სიხარულათ შეცვლის ამბავი აუწყა... ავაკის საფლავზე ყვავილები შეარხია, ღამის ცვარმარგალიტები პოეტის გულ-მკერდზე აპეურა, მისი „მზე და მისი მთერის“ კელავ გამობრწყინება უმახარობლა.. სოლოლაკით, თფილისის ამცველ ციხის ნანგრევებს, მათი დამტერეულ-დამსხვრეული მავრამ მაინც ამაყი თავი გადაუკოცნა... კრწანისის ბაღ-ჭალები ააშრიალა, იქ დამარხული გმირების გულ-მკერდი ღამის ცვარით დანამა, მათი ოროშის გაშლის მოახლოვება აუწყა.. კრწანისის ველიდან „სამშეიდურატევანი“ გამოაღვიძა, თელეთ-შავნაბაღას, კოჯორ-მანგლისის ძეველ ტაძრებს უმახარობლა და მიხაოის ქვეთ ნაძალოდევის გორებს თავს გადაევლო, თავისუფლების დაცვისათვის მშრომელი ხალხის სისხლით შეღებილი მინუორ-ველი გაპოვცნა, სული მოითქვა, იქ ერთ სერჩე დამარხული, რუსეთის მთვ-64.

რობის მიერ დაკლულ-წამებულ ნაძალადევის ცხრა გმირის საფრთხოების დავს გაეკრა, დიდებული თავისუფლების მოახლოვება აუცილებელია

კავკასიონის მაღალ ქედებიდან, მის ამწვანებულ მთის კალთებიდან მდინარეები მოქუჩანები, შეუილითა და ხმაურობით მოქროდნენ, სასიამოვნო ამბები დაბლა ბარში მოქონდენ...

ამ ამბავს ბაზალეთის ტბა აელევებია, მისი დაწყნარებული სარკესებრი ჰედაპირი აექოჩრებია, ნელი კუმები აეთამაშებია და მის სპერაკ ფსკერში. ოქროს კვანში, მწოლიარე ყმა გამოელვიძებინა!...

ყოველი არი არაჩვეულებრივ მოძრაობაში მოსულიყო...

იმ დროს როდესაც დედა სამშობლო ქალაქს ტქბილად ეძინა, თუილისის გარშემო რაღაც აჩრდილები თავს იყრიდენ, საქართველოს ყოველ-მხრიდან იქრიბებოდნენ...

დიდუბის ტაძრის სავანედან მთელი ქართველი მოლვაჭენა: ნიკოლოზ ბარათშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, დანიელ ჭონქაძის, გიორგი წერეთელის, ვაჟა-ფშაველას და არჩილ ჭორჯაძის მეთაურობით მამა-დავითისაკენ მიიღოვოდნენ.

კალოუბნის ეკლესიის გალვანში ვიორგი ერისთავის ძეგლა ვაოცებული თფილების სასახლეს მისჩერებოდა, ხელში შეხვეული დროშა ეგირა. რომელზედაც აკაის მარგალიტი სიტყვები ეშერა: „ერის ძემ. ოვით ერისთავმა, სამშობლისათვის დასდგა „სამშობლო“, რომლის დროს საქართველოს დროშა პირველათ ვიხილეთ! თოთქოს ამ დროშის გაშლას სახელოვანი მამულიშვილი ენდა ლამობდა!..

მტკერის უჩვეულო ამბით გამოლვიძებული კრწანისის არაგველები, საომრად შეკურვილები, ერეკლე მეფის მეთაურობით სოლოლავის ციხე-ბურჯ-კოშკებით ამოთიოდნენ! ალექსანდრე ბატონი-შვილი თავის შეთქმულებით მოიჩარიდა. ოსმალეთიდან გაკვირვებული და ვაოცებული მოდიოდა იშვიათი ვაჟკაცი ვიორგი სააკაძე—დიდი მოურავი... ცხრა ძმა ხერხეულიძენი, წამებულნი: შალვა, ელიზბარ ჩილოყაშვილები, კვლავ საბრძოლველად ირაზმებოდნენ. რომელთაც თეოდორე მლვდელი ჯვრით წელში მოუძღვდა... ნაქერალის მთით ვითარცა ჯვარის ძალით მოანათებდა არგვეთა წამებული მთავრები—ძმები დავითი და კონსტანტინე! ირანის ცახეებში ნაწილები შეთუვან დედოფალი და ლუარსაბ მეცე აჩრდელები მოდიოდნენ შარავანდეთით მოსილი... ტრაპიზონით მომა-

ვალი სოლომონ მეფე შვენოდა. კვლავ რუსების გასარეკათურებული
ლისში მოჩქაროდა.

სულ უცცროსი თაობა, მეტების ციხეში 1903 წელს რუსეთის
მთავრობის მიერ უღვთოდ მოკლული ლადო კეცხოველი, თავისი-
ფლებისა და თფილისის დასაცავად 1905-ში ნაწამები ცხრა ძმანი,
ნაძალადევის გორებიდან მოჩანდენ, რომელთაც მხარს უმშვენე-
ბდა რუსეთის მთავრობის მიერ მოკლული სამშობლო შვილების
აღმზრდელი შიო ჩიტაძე, ბიუნტი ლომთათიძე, სევერიანი ჯულ-
ლი, ლადო დარჩიაშვილი, ვარლამ შავდაია. ამათ წინ მოუძღვიდენ
არჩილ გაფარიძე და არსენა ჯორჯიაშვილი...

ყველა ამათ ეგებებოდა გვარით ხელში, სახე გაბრწყინებული
ესტატე მცხეთელი და ამო თბილელი!..

საბერძნეთის მთა-წმინდის ადგილებიდან სასოებითა და სათ-
ნოებით ქრისტეს მარალი მცნებით „გივარდეთ ერთმანეთი“-ს
მოწოდებით მოდიოდნენ იოანე და ექვთიმე მცირის მეთაურობით
ლირსეული ათ-თორმეტი მამების აჩრდილები—მათი სულები!..

მამა-დავითის მთას ცა თაღათ გადადგომოდა, საიდანაც შუ-
ჭურ-გარსკვლავი ბრწყინავდა, მისი სინათლე ტაძრის ჯვარშე
კრთოდა, დიად სანახაობას ანათებდა... სამშობლოსათვის წამებუ-
ლი სულები მამა-დავითის მთას ვითარცა სული წმინდა დანტრი-
ალებდნენ!

მოწყვეტილი ვარსკვლავნი შვენებით ცის უსაზღვრო სიკრ-
ცეში მიიღობდნენ—მათი სინათლით სიბნელეს აცისტოვნებდ-
ნენ! ესენი იყვნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის წამებულთა
სულები...

თფილისის ცის ტატნობზე მრავლათ მოელვარე ვარსკვლავები
—„იერუსალიმის გხა“ ზოლივით გაკრული ცამციმობდნენ, მის
შნათობ ელფერში მოჩანდნენ: წმინდა ნინო, ქეთევან წამებული,
ვახტანგ გორგასალი, ლავით აღმაშენებელი და შვენიერი თამარი,
რომელნიც სასოებით სამშობლო დედა-ქალაქს გადმოსცემეროდ-
ნენ, „სულმნათის რუსთველის“ ტებილ ხმას აყურებდნენ...

ქუდ-მოხდილი, სულგანაბული ვიღები, კანდელსავით ვარსკ-
ლავებით გაბრწყინებულ მამა-დავითის ტაძრის მიეჩერებოლი,
ცით ჩამოსულ ზარის რეკის ხმას გატაცებული ვისმენდი!

ტრაპიზონიდან გამტკვებული ლაშქარი: ოტბელიძე—გამრე-
კელის ხელმძღვანელობით მოდიოდნენ, რომელთაც წინ თორნიკე

ერისთავი, ვითარცა მოძღვარი, მოუძღვდა, მათი სიმღერა საქართველოს აღიძებდა:

„კავკასიის მაღალ ქედზე მიჩრანი მიგიჭვული, ყვავ-ყორანი ესეოდა, დაფლეოლი ჰქონდა გული... მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჭავეს გასწყვეტს გმირთა-გმირი, სიხარულით შეეცვლება ამდენისნის გასაჭირი“-ო!

დიალ. გასწყვეტს—წამოვიძახე და შევნიშნე, რომ დიდი ხნას გატაცებით, გარინდებული დგომით თავზე დამთენებოდა, ცის კამარაში ვარსკვლავები გამეჩერებულიყო, ტრედის ფრად ქცეული და აღმოსავლეთით წითლად იღებებოდა, დილის ცისკრის ვარსკვლავი მის სიწითლეში ქრებოდა, დიადი მზის ამოსვლა ახლოვდებოდა!..

კავკასიონის ოოვლით მოსილი ქედი სამშობლოს დასაშვენებლად ცის ტატნობზე აიხატა „მის მწევრვალიდან ცხოველ-მყოფელი მზის სხივი გამოკრთა, ყვარელის მთების სამოთხის მზგავს კახეთს ნათლის სხივებათ მიეფრჩვია! გომბორის მთის კალთებში წმინდა ნინოს მონასტრის ჯვარს ეამზორა, მახათის გორით მისი მაღლიანი პირველი სხივი მთაწმინდის ტაძარს მიანათა, დიმიტრი ყიფიანის ძეგლს გაოცებული სახე გადაუკოცნა, ილიას მწუხარე დედა ნათლით შემოსა, აკაკის სავანეში ლარებათ ჩაეშვა, თფილის სასახლე გაანათა და.... ოი საკვირველებავ! იქ აფრიალებული ეროვნული დროშა გამოაჩინა, რომელიც დილის ნიავზე ფრიალებდა, მისი შეინდის ფერი ცისარტყელასავით შვენოდა!..

საქართველოს სამფეროვანი დროშა ვითარცა სული წმინდა, თფილისში გამობრწყინდა!

დიადი ოცდა ექვსი მაისი გაგვითენდა!

შვენიერება დიდებით შეიმოსა!.. კრწანისის ველზე დაკარგული დროშა გამოჩნდა! [

„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა და რომ ვიწოდე, ვდნებოდე არ შემიძლია მეც განა“?!—ვიმეორებდი აკაკის სიტყვებს და დიად სანახაობას მივჩერებოდით...

მთაწმინდის სამრეკლოდან ლირსეული მაშების სამახარობლოდ დიდების ზარები ირეკებოდა...

3ლასა მგელაძე

„[1918 წელი, მაისის 26. ცხადდება აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა. ზეიმი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ერთი მოზეიმე მირბის „მამა-დავითისაკენ“, ექსტაზით აყვანილი და აელვარებული, უახლოვდება სალოცას. ავარდება სამრეკლოშე და ზარების რეკვით ამცნევს სამშობლოს: „აღსდგა საქართველო!“ შე არ შეგულვება არც ერთს უნივერსალურ ეპოში მამულიშვილური აქტი. ეგზომ აყვანილი მითიურ სიმაღლემდე. ყველამ იცის, ვინ იყოს ეს მოზეიმე: ვლასა მგელაძე... მარტოლმარტო ეს ფაქტი საქმია. რომ ვლასა შევიდეს „ქართლის ცხოვრებაში“: როვორც რაინდი, მზიური შარავინდედით მოსილი“ — წერდა გრიგოლ რობაქიძე (იხ. „ბედი ქართლისა“, № 18, პარიზი, 1954, გვ. 9); „ვლასა ერთი იყო, მეორე არ გამოჩენილა, არც გამოჩნდება“ — კვერს უკრავდა ნოე ეორდანია.]

... ვლასა დარისპანის ძე მგელაძე დაიბადა 1871 წლის თებერვლის დამლევს, გურიაში, სოფელ ზომლეთში. ვლასა მშვენივრად აღწერს თავის კარმიდამოს და მისი სოფლის ბუნებას: „ჩვენი ორთვალი წაბლის ოდა ხრამზე იყო გადადგმული, გვერდზე, სამზარეულო ფაცხა მიდგმული, უკან მაღალი წიფლები, რომლის ბოჭაყებში (შტოებში) სკის ბუკი იყო გადადგმული ფუტკრისათვის, ქვევით ფერდობზე შექრით შემოსილი მაღალი წიფნარ-ცხემლარი. დაბლობში დიდი კაკლის ხე, ბუკები და იქვე მიმდინარე ღელ-გვერდზე ატმის, ბის ხეხილები, დიდრონ ფორჩხზე ასული აღვ-სის ყურძნი, ხურმაზე — ჰუმურაი, თხემლაზე ადესაი, ცხემლაზე ხანდარი, პანტაზე — კახური, ჩხავერი, ტევან-დიდი. ცოტა მოშორებით სათამაშო მინდორი — გარს ცხემლა-კოპიტით. მაღლა გორაკზე, ბუნების დასამშვენებლათ პატარა, წაბლის ხის, წმინდა გიორგის ტაძარი, მაღალი ძაღვებით, ტოლად — ცის სივრცეში აზიდული, შორს შტოებ-გადაზნექილი ცაცხვი. მუდამ მწვანეთ მო-



სილი, ბზისა და ურთხმელის ხეები, საიდანაც მთელი გურია ჩელიძე
გულივით მოჩანდა. შუაზედ, მდინარე სუფსა გუბაზეულით, კრისტენის
მო ფერდობ-გორაკები, ამწვანებულ-აყვავებული, რომლის დასა-
კავათ, სამხრეთით ქარა-გურის მთა ზეიაღად ამართულია... აი,
აქ დავისადე, აღვიზარდე საყვარელ დედის გულმკერდზე“ (იხ.
ვლასა მეელაძე, მოვლენებები, წიგნი მეორე, პარიზი, 1972, გვ. 13).

როგორც ვიცით, 1870-იანი წლების მიწურულში რუსეთ-თურ-
ქეთის ომის დროს რუსი ჯარისკაცები გურიაშიც შემოიხიზნენ და
ბევრ უმსგავსობასაც სჩადიოდნენ თურმე. რისი მაგალითების ჩა-
მოთვლის შედეგ ვლასა მგელაძის დედა გაოცებით და აღმფორთებ-
ით კითხულობს: „ეს რა ხალხია? გულზე ჯვარი ჰქიდია, ურჯულო
თათარს ეჩხუბება და ღვინო-ზიარებას ჩექმით სვამს. სახლში
აკენს არც დაი ჰყავს, არც რძალი, არც დედა რომ ასე უზრდელე-
ბია? სხვისი ოჯახის და მანდილოსნების მორიცება არ აქვს?!“
(იქვე, გვ. 14).

რუსეთ-თურქეთის ომში ვლასას მამა და ბიძა ქართველთა
თავისუფალ მოხალისე ლაშქარში იბრძოდნენ, გურიელების რაზმ-
ში და ბათუმის გათავისუფლებაშიც მიუღიათ მონაწილეობა. ომი-
დან დაბრუნებული ვლასას მამა ლოვინად ჩავარდნილა და ადრე
გარდაცვლილა.

დაობლებული ვლასა წერა-კითხვის სასწავლად მთავარ-დია-
კვან ექვთიმე მეგრელიძეს წაუყვანია თავის სახლში, ხოლო მღვდ-
ლის ოჯახიდან დაბრუნებული, შეუყვანიათ აკეთის სკოლაში, რო-
მელიც ნივთიერი გაჭირვების გამო არ დაუმთავრებია. ბიძას,
ლუკა წულაძეს, პატარა ვლასა ქუთაისში წაუყვანია და პეტრე წუ-
ლუკიძის სტამბაში შეგირდად მიუბარებია: „მახსოვს, როგორ და-
მაყენეს სასწავლად, სად როგორი ანბანია უჯრედებში იმის დაზე-
პირება. მე ვახსენე წმიდა გიორგი, მთავარანგელოზი, შევთხოვე
მამის ძირითად ხატს — აკეთის მაცხოვარს თეთროსანს, რომ
ჩქარა დამესწავლა და დედის იმედი გამემართლებია“, — იგონებს
ვლასა მეელაძე (გვ. 18).

ქუთაისში ცნობისმოყვარე და სწავლასმოწყვრებული ჭიბუკი
ვლასა მეელაძე უსმენდა გაბრიელ ეპისკოპოსის — ქიქოძის ქა-
დაგებებს, გაიცნო ცნობილი წერალი გიორგი წერეთელი, პოეტი
მამია გურიელი, ხარბად კითხულობდა ქართულ უურნალ-გაზეთებს,
სტამბაში აწყობდა ქართულ წიგნებს...


ვლასა მგელაძემ რამდენიმე ხნის შემდეგ თბილისში ქართველების ხელაძის სტამბაში იშოვა ასოთამწყობის ადგილი, მაგრამ მაგრამ ასოთამწყობის ადგილი, მაგრამ მაქსიმე შარაძეს კუთვნოდა ასოთამწყობად დაიწყო მუშაობა „ჩუღურეთში, ნიკოლოზის ქუჩაშე, ილიას დის ხალში, სადაც ილია თავის მეუღლე ოლღა გურამიშვილის ასულით ცხოვრობდა“ (გვ. 24).

„ივერიის“ რედაქციაც აქ იყო მოთავსებული. აქვე იმართებოდა ილიას განთქმული „ხუთშაბათობები“. აი, როგორ აღწერს მას ვლასა მგელაძე: „ეზოში, მაღლა სართულში, ერთ ზალაში დადგეს ღიდი მაგიდა, რომლის გარშემო ისხდენ „ივერია“-ს თანამშრომლები: გიგო ყიფშიძე, სიკო გრძელაძე, ახანაროვი „ჩიორია“, ლავრენტი წულაძე, ანდრია ღულაძე. მოდიოდენ სტეფანე ჭრელაშვილი-ნაროვნიკი, ხიზანიშვილი ნიკო „ურბნელი“, გიგო ყიფშიძის ძმა ალექსანდრე „ფრონელი“ ისტორიკოსი, პ. კარბელაშვილი მღვდელი, რომელმაც მგალობელთა გუნდი შეადგინა, მოსე ჯანაშვილი ისტორიკოსი. ახალ ამბებს აგროვებდა ქალაქის თვითმართველობაში, სასამართლოში, პოლიციაში მიხა ცხავია (ცოტა ხანს დარჩა), კორექტურას ასწორებდა პოეტი განდევილი. თუ რომ საჭირო იყო მოლაპარაკება დასაბეჭდ წერილის გამო, ამის შესახებ ილიასთან შედიოდენ. თვით ილია იშვიათად რომ აქ შემოსულიყო ქვევით სართულში ესოსკენ, ნახევრად მიწაში იდგა საბეჭდავი მანქანა, რომელსაც ხელით ატრიალებდენ“ (გვ. 24-25); „ილია ჭავჭავაძესთან იმართებოდა ყოველ ხუთშაბათს ქართველი მწერლების, უმთავრესად, „ივერია“-ს თანამშრომლების სადილი. ილიას სიამოვნება, როგორც ამბობდენ: ლავრენტი წულაძის მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ვაჟა-ფშაველას მოსვლა იყო“ (გვ. 26).

„ივერიაში“ მუშაობის დროს გაეცნო ვლასა მგელაძე ალექსანდრე ყაზბეგს, ეგნატე ნინოშვილს, ნიკო ნიკოლოზეს, ავაკი წერეთელს, ივანე მაჩაბელს, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილს, ფილიმონ ქორიძეს, ზაქარია ჭიჭინაძეს... ამავე დროს დაუწყია ლესების წერაც...

1894 წლის იანვრის მიწურულიდან ვლასა მგელაძე უურნალ „კვალს“ და „ჭეჭილს“ აწყობს მატინიანცის სტამბაში. „კვალსა“ და „ჭეჭილზე“ მუშაობის დროს იგი კიდევ უფრო დაუახლოვდა გორგი წერეთელს და ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას, რომ-



ლებიც ამ უურნალებს რედაქტორობდნენ. აქვე გაიცნო კუთხეშვილი აზერბაიჯანის წერეთლის შეიღები — ლევანი, კაյი და ელენე წერეთლები. მათ შორის კაიი წერეთლი, როგორც ვიცით, შემდეგში სახელგანთქმული პოლიტიკური მოღვაწე და ორატორი დადგა.

ვლასა მგელაძე მოწმე და მონაწილე გახდა 90-იან წლებში შრავალი ლიტერატურული მოცემის ბარათაშვილის ნების გადმოსუენება განვიდინ თბილისში. კრწანისის ობის 100 წლის პანაშვიდი, რაფიელ ერისთავის იუბილე, გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვა ველათში...). რომლებმაც ქართველ საზოგადოებაში ეროვნული სულის გამოღვიძება გამოიწვია.

ამავე პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი იდეური მიმართულება — „მესამე დასის“ სახელწოდებით და ვლასა მგელაძე თანდათან მისი მიმდევარი ხდება: ვლასა მგელაძე საბოლოოდ პროფესიონალ რევოლუციონერად ჩამოყალიბდა!

უურნალ „კვალში“ დაიწყო ვლასა მგელაძემ პირველი წერილების ბეჭდვა, რომელსაც წარმატება მოჰყვა მკითხველებში:

„გაივლის ცოტა დრო და მისი გონების სიმახვილე და მჟერებელულება იპყრობს ყველას ყურადღებას. მოითხოვენ რევოლუციონურ ორგანიზაციებში მის მუშაობას. რასაც ვლასა დიდი ხალისით ღებულობს და დაუშრეტელი ენერგიით, ცეცხლისებურ ტემპერამენტით ეშვება გამანთავისუფლებელ მოძრაობაში. ვლასა მიემგზავრება ბათუმში, კარლო ჩხეიძესთან ერთად აწყობს ორგანიზაციებს. დადის მუშათა უბნებში ეწევა პროპაგანდას. მისი ბრძოლის ლომუნგია თვითმშერობელობის დამხობა, ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლება.

შე-19 საუკუნის მიწურულიდან დაწყებული, სახალხო მოძრაობაში ის გვერდს უმშვენებს სილიბისტრო ჯიბლაძეს, ნოე ქორდანიას, კარლო ჩხეიძეს და სხვებს გრანდიოზულ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობაში. მისი ხვედრია მეტების ციხე, ვალასახლება გამოპარვა, კვლავ ციხე-გადასახლება...“ (პ. სარჯველაძე, ვლასა მგელაძე — პოეტი და რევოლუციონერი, პარიზი, ოქტომბერი, 1972; წინასიტყვაობა წიგნში: ვლასა მგელაძე, მოვონებები, წიგნი მეორე, პარიზი, 1972, გვ. I-II).

1902 წელს მეტების ციხეში ვლასა მგელაძე მოუნახულება დედის. ვლასას ჩაუწერია დედის სიტყვები. რომლებიც გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე:



„— რა ვუყო ნენა, რომ ეს ახალგაზრდა ვაჟკაცი ციხშენიშვილი ხარ. ეს გზა შენ თვითონ აირჩიე, წამების ჭვარი შენ თვითონ აიკიდე და ეცალე შვილო, ღირსეულად ატარო იგი. ქვეყნის საცოდაობაში არ ჩადგე, გლახა და შემცდარ გზაზე არ წაიყვანო ხალხი, თუ თქვენ არ ივარგეთ, მაღალი რწმენა, სიმართლე ხალხს შესძლდება. სულით ამაღლდით, უსულ-გულო ადამიანი მხეცია, პირუტყვია ხორცი ჰკენება — სული ხარობს, ასე ბრძანებს საღვაო წერილი.

— რა ვენა ნენა, შენი დაჭერით გულზე ცეცხლი მექიდება, კარტ სოფელიც შეწუხებულია. მარა ყველა გვიმედებს, ქვეყნის ერთობის საქმეზე ხარ და ამით გულს ვაძრუნებ. შენ კი არა, ქრისტეს მოციქულებიც იყვნენ ციხეში, ჩემსავით ცოდვით მომაყტევს კი არა ღვთისმშობელსაც ჯვარზე გაუკრეს მაცხოვარი. ციხეში ჯდომა სასირცხვო საქმეზე სათავილოა, თვარა, რაფი შენ ამ გზაზე დაადექი, სასახელოდ უნდა მიჰყე, მამის სახელი არ შემირცვინო, სამშობლოში არ გამოწყდე.... ანჩხლობა და ვაჯვრება კაცს წაახდენს. გაჭირვებამ კი არ უნდა წაგახდინოს, ქვიტეირივით უნდა გაგამაროს, ხასიათის სიმაგრე შეეგმატოს, სიღინჯე-სიბრძნით აგავსოს. რამდენი რეგვენი და მეშაირეა ქვეყანაზე ყველას თუ აჰყევი, წაგახდენს. ხახეს შეგიშლის...

— მე ნენა, სულ გაჭირვებაში ვარ. მარა გულს არ ვიტეხავ-ლმერთი მოწყალე და სულგრძელი... ბოლოს სიმართლე გაიმარჯვებს, მარა მოთმინებით უნდა იყო. ღონე გერჩის, მარა ღონით ციხე არ გატყდება — თვით არავის შეაკლა... ყველაფერს მოესწრები, არ იდარდო! ჯვრი გულს წაგიდენს, დაგავლიახვებს. საქმეს ბრძოლა და ხერხი უნდა.

... გამოთხოვებისას მისი რკინის ნერვები შეირყა, ტკბილი ხმა გაიბზარა, გამოკვეთილი გამოთქმა აუკანკალდა, რწმენით ანთებულ თვალებში კურცხალი გაღმოყენდა მარგალიტებათ და სახეზე ჩამოციმდა — ჩემს აიაზმად მესხურა...” (გვ. 83-85).

1907 წლის 30 აგვისტოს, წიწამურთან ილიას მკვლელობის ოავზარდამცემი ამბავი ვლახა მგელაძეს ხაშურის სადგურზე გაუგია, როცა იგი თბილისში ბრუნდებოდა:

... ხაშურის სადგურში თბილისიდან მოსულმა მატარებელმა გაზეთები მოიტანა, თავზარდამცემი ამბავი გვამცნო. ილია ჭავჭავაძის მოკვლის ხმა მოწმენდილ ცაზე მოულოდნელ კრგვინვათ გაისმა.



დაუგერებელი, მარა თეთრ ქაღალდზე შავი ასოებით დატემურალი
დილი იყო: ილია მოკლეს! ილია აღარ გვყავს!

თვალებზე ბნელი გადამეფარა. ნათელი დღე დამიბნელდა,
ხელები ჩამომიგარდა, ტვინი გამეყინა, გულში რაღაც ჩაწყდა. მოე-
ლი ჩემი არსება გაშრა, როგორც სიცხისაგან გამხმარმა — თვა-
ლებმა ცრემლებზე ვერ იპოვეს...

...განეთი ხელიდან გამივარდა, უაზროდ მოსავებული სკამზე
ჩამოვჭექი, გონება ირეოდა...

გუშინ საყვარელი ცხოვრება, დღეს ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა.

თბილისში ჩავედი. სადგური, ქუჩები, სახელოსნოები, ოჯახე-
ბი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა ილიას მოკვლაზე ლაპარაკობ-
და. თითქოს ოჯახს ცეცხლი გაჩენიაო, ზღვაში ჩასაძირავ გემის
მგზავრებივით შეშინებული — გაბოროტებული ერთმანეთს
ედავებოდნენ...“ (გვ. 94).

აქვე ვლასა მგელაძე, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარ-
ტიის აქტიური წევრი, გვაწვდის ერთ ასეთ უნიკალურ ცნობას:

1907 წლის 7 სექტემბერს, საგურამოდან ილიას „ცხედარი
თბილისში სიონის ტაძარში მოასვენეს და საზოგადოება დამარხ-
ვის თადარიგს შეუდგა.

ამ დროს, პირველი დუმის ვასამართლების გამო, ნოე ქორ-
დანია პეტერბურგის ციხეში იგდა და მრავალი მოწინავე ამხანა-
გი, რეაქციის წყალობით დაჭრილი იყო. შემთხვევითი ხმის
უმრავლესობით ფილიპე მახარაძემ თბილისის უმაღლეს ორგანოს
დაადგენია ილიას დასაფლავებაში მონაწილეობა არ მიეღო და
არც გვირგვინი გაეგზავნა. მარა მალე მახარაძე განმარტოებული
დარჩა — მისი ხმა და დადგენილება მშრომელმა ხალხმა უარყო,
მასიურად მივიდა მისი აღმზრდელი მამის კუბოსთან, ცრემლები
დააფრჩვია, ყვავილებით შეამყო და სიტყვის წარმოთქმა თავის
უპირველეს წარმომადგენლს კარლო ჩხეიძეს დაავალა“ (გვ. 97).

ილიას დასაფლავების დღეს — 1907 წლის 9 სექტემბერს
მუშების სახელით ვლასა მგელაძე შესანიშნავ სიტყვას ეუბნება
ტრაგიკულად დალუპულ დიდ მგოსანს (იხ. კრებ. „ილია ჭავჭავაძის
სიკვდილი და დასაფლავება, ტფ., 1907, გვ. 195-200).

1908 წელს ვლასა მგელაძე ევროპაშია და ვენიდან მიდას
ციურისში. მას ხიბლავს შვეიცარიის ბუნება და აღამიანის თავისუ-
ფალი ცხოვრება, მაგრამ თან მტანჯველი ფიქრები არ ასვენებს:



„განა ბუნების ასეთი სიმშვერიერე არ არის ჩვენში?! მაგრამ აფაფუ
მიანი უუფლებოა, მისი ინიციატივა დაბულია. მის ცხოვრებას
უსულადულო მოძალადები განაცემენ, მისთვის მონობაა მიჩნეული
და თუ მას იუკადრისებს, ბორჯილებს გაუყრიან, ციმბირში ყინუ-
ლად აქცევენ, ან სახრჩობელაზე თოვით დაპკიდებენ...“ (ვლ. მგე-
ლაძე, მოგონებები, წიგნი მესამე, პარიზი, 1974, გვ. 5).

ციურისხში ვლ. მგელაძე ხვდება საქართველოს მოყვარულ გა-
მოჩენილ რევოლუციონერს, სოციალ-დემოკრატს პ. აქსელროდს,
ხოლო აქედან იგი უენევაში მიემგზავრება თავის ძევლ ნაცნობთან,
გიორგი პლეხანოვთან, რომელსაც ძლიერ ინტერესებს საქართვე-
ლოს ამბები, ქართველი სოციალ-დემოკრატების „ქართველი ბებე-
ლის“ — სილიბისტრო ჯიბლაძის, ნოე ეორდანიას, კარლო ჩხეი-
ძის, ორაკლი წერეთლის და სხვათა მოღვაწეობის ახალი ცნობები... .

უენევიდან ვლასა მგელაძე გადაღის მონტროში და თვალიე-
რებს შილიონის შესანიშნავ ციხე-სიმაგრეს, ხოლო ლოზანაში ეს-
ტუმრა კომპოზიტორ სკრიაბინს.

შეეიცარიაში მყოფ ვლასა მგელაძეს ქართველმა სოციალ-დე-
დემოკრატმა ამხანაგებმა აცნობეს, რომ სპარსეთში დაწყებულ რე-
ვოლუციაში, რომელიც მიმართულია შაპის განაწამები ხალხის
თავისუფლების მოსაპოვებლად, უნდა მივიღოთ მონაწილეობათ.

ვლასა მგელაძე საჩქაროდ ტრვებს შეეიცარიას და გ. პლეხა-
ნოვის ჩეკეთია და წაქეზებით დაბრუნდა თბილისში, რომ აქედან
თავრისხში ჩასულიყო. 1908 წელს სპარსეთის რევოლუციაში ვლა-
სა მგელაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო და უშიშარი მეტრო-
ლის სახელიც მოიხვეჭა. სპარსეთში კონსტიტუციის მიღების დღი-
დან ვლასა მგელაძემ თავისი მისია შესრულებულად ჩათვალა. თა-
ვრისხიდან ისევ თბილისს უბრუნდება და ქართულ სოციალ-დემო-
კრატიულ პრესაში გამოქვეყნებულ საგაზეთო წერილებით იღწერა
სპარსეთის თავგადასავალი, რაც დიდი ინტერესით იყიდებოდა.
ამასთან, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამოდის მგზნებარე
რევოლუციური სიტყვებით. ამასთაში, სპარსეთში რევოლუციუ-
რი გამოსვლები კიდევ უფრო ძლიერდება და თეირანშიც გა-
მარჯვებას ზეიმობენ. ვლასას გული კვლავ იქით მიუწევს. 1910
წელს ჩადის თავისუფალ თეირანში, ესწრება მეჯლისის გახსნას,
რომელსედაც შაპიდ გამოცხადებულმა მამადალი შაპის 14 წლის
ვაჟმა ახმედ სულთანმა მეჯლისის მიერ მიღებულ კონსტიტუციაზე

ფიცი დასდო: ირანის „კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით/ წარმოთქმულ მრავალ სიტყვათა შორის ვლასას სიტყვა გამოიიჩნევა ვა, რომელიც იბრავიმ ბეგს გადაუთარებინა და რომელსაც შეჯლის-ზე უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია (ეს სიტყვა „რუსსკოე სლოვოში“ გამოქვეყნებულა და ევროპაშიც გაცრცელებულა)“ (III, გვ. 106).

ამის შემდეგ ვლასა მგელაძეს უნახავს „შახ-აბაზის მიერ გად-მოსახლებული ფერეიდანელი ქართველები, რომლებიც გამანთავი-სუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობდნენ, შეკრიბა მათ შორის ცნობები და თბილისში ჩვენს მეცნიერებს წამოუღო. ყველა წა-რმოიდგენს, თავისუფალი თეირანი როგორ გამოაცილებდა ვლასა მგელაძეს. იგი მალე თბილისშია... მისით დაინტერესებულია ქარ-თველი მეცნიერები: მოსე ჯანაშვილი, ალ. ყიფშიძე, დავ. კარიჭა-შვილი და ქართული წერა-კითხვის გამაცრცელებელი საზოგადოებ-ის გამგე შიო მღვიმელი“ (იქვე, გვ. 106-107).

შემდეგ კვლავ თავრიზი, ისევ თბილისი და უანდარმერიის ში-შით, რომ ციმბირს არ ააცდენენ, ვლასა მგელაძეს ამხანაგები 1910 წლის მეორე ნახევარში ევროპაში გზავნიან....

გვარდა ხმა რომ ტრია (ვლასა მგელაძის ფსევდონიმია) უკვე ვენაშია და ემიგრანტებით გაშედილ დარბაზში იგი კითხულობს ლექციას სპარსეთის რევოლუციაზე, რომელსაც არნახული წარმა-ტება მოჰყვა. ვლასა ევროპის მრავალ ქალაქში მიიწვიეს — ციუ-რიბში, უენევაში, პარიზსა თუ ბერლინში მას ყურადღებით უსმე-ნენ არა მარტო პლეხანოვ-აქსელროდი და რუსეთის იმპერიიდან გადახვეწილი სხვა პოლიტიკური მოღვაწეები თუ რუსი სტუდენ-ტები, არამედ განათლებული ევროპის პოლიტიკური პარტიების მეთაურები და სახელგანმარტინი მწერლები საკუთარ ოჯახებში იწვევენ და სპარსეთის ამბებზე ესაუბრებიან... მის მოხსენებებს არა მარტო რუსული ემიგრანტული პრესა, არამედ ევროპის სატახ-ტო ქალაქების სერიოზული გაზეთებიც გამოეხმაურნენ...

„პოლოს ვლასა მაქსიმ გორკიმ სამი თვით კაპრში მიიპატიეა. კაპრის კუნძული ნეაპოლთან ლაუვარდოვანი ცის ქვეშ გამლილ ტირენის ზღვაში ჩადგმული მრვალფეროვანი თაიგულია. აქ მდიდ-რულად მოწყობილი გორკის ოჯახი მიპატიებული სტუმრებისათ-ვის გულუხვი მასპინძელია. მასპინძელს სამისო საშუალებაც აქვს და მოთხოვნილებიც. ამიტომ იგი მუდმივად გარშემორტყმულია

ხალხით და, ლიტერატურული მუშაობიდან გადარჩენილ პრინციპები დროს მათთან სეირნობაში და საუბარში ატარებს. გვითხოვთ

ვლასას მოხსენებები დღე გამოშვებით საერთო ზალაში იყოთ-ხება. მოძრაობის საფუძვლიანად გაცნობის მიზნით, გორუ მას შეკითხვებს შეკითხებებზე აძლევს და ვლასას უბრალოდ და გარ-კვეულად მიცემული პისუხები მოსწონს. ვლასაც ვორკის კვლევა-ძიების დაუფასებელ მეთოდს აღმოაჩენს და მით საქუთარ აზროვნებასა და მსჯელობას იმდიდრებს. მათ შორის დამყარებული ნილობა და პატივისცემა კიდევ უფრო ზრდის აქ თავმოყრილ აღა-მიანთა კარგ განწყობილებას...

სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის დავალებით, გორკისას ვლასა სპარსეთის რევოლუციაზე გაკეთებულ მოხსენებების კონს-პექტს წერს, რომელიც გადათარგმნილი და დაბეჭდილი, კოპენჰა-ვენის სოციალისტურ კონგრესზე იქნა წარდგენილი. აქევ იგი ციმ-ბირიდან მის პირველ გამოქცევას ოწერს, რომელიც ჩვენ სახე-ლოვან კრიტიკოსს ვლადიმერ ბაქრაძეს გადაუთარგმნია. ეს ნაწე-რი პლეხანოვის ბიბლიოთეკაში შეუზახვათ და შემდეგ, ლევ დეი-ჩის წინასიტყვაობით, ხარკოვის არალეგალურ ეურნალში გამოუ-ქვეყნებით“ (III, გვ. 109-110).

საინტერესო აქვე აღინიშნოს, რომ 1910 წელს, გორკისთან კაპრზე სტუმრობის დროს, ვლასა მგელაძეს გაუცვნია ვლადიმერ ლენინი: „ეს ბეჭვის ოდენი კაცი, — ამბობს ვლასა — სულ მუ-დამ განში მიიწვევდა, საათობით გულჩათხრობილი რჩებოდა. იგი გორკის კონტრასტი იყოო..“ (გვ. 110-111).

ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ვლასა მგელაძე კვლავ შეხვედრია მაქსიმ გორკის, ოლონდ, 1923 წელს, ბერლინში, ლ. მარტოვის დასაფლავებაზე. ამის შესახებ რუბენ ყიფიანი იგონებს:

„ბერლინში მე და ვლასა ერთად დავესწარით რუსი სოციალ-დემოკრატის მარტოვის გასვენებას. გასვენების მონაშილეთა შორის აღმოჩნდა შეუმჩნევლად შემოსული მაქსიმ გორკი. ნელ-ნელა იწია ვლასასკენ და ბოლოს ბევრი პკოცნა. ლენინმა საქართველოს დაპყრობისთანავე (1921 წ.) იყითხა ვლასა და დიდ სისუსტედ ჩა-უთვალა თავის ქართველ მიმდევრებს, რომ ვერ მოავარეს მასთან სახურველი დამკიდებულება“ (რ. ყიფიანი, ვლასა მგელაძის მო-საგონებლად, „კავკასიონი“, IХ, პარიზი, 1964, გვ. 156).

დავუბრუნდეთ ისევ 1910-იან წლებს: საზღვარგარეთელ ხელ-

მძღვანელების დავალებით 1911 წელს ვლასა მგელაძე საქართველო /
ში გამოზავნეს ნოე უორდანისთან. მაგრამ მალე ვლასა მგელაძე 1912
ჩავიკარდა ხელთ უანდარმერიას, გათუმის ციხეში ჩასვეს, 1912

წელს კი მეტების ციხეში, საიდანაც 1913 წელს ეტაპით შორეულ
ნარიმის მხარეში გაგზავნეს: „ჩელიაბინსკის სადგურზე ტუსალებ-
ით საესე გავონი ჩამოაყენეს. სოსო ჭულაშვილი, პეტერბურგიდან
ტურქებიში მიჰყავდათ და ჩვენს გავონში შემოიყვანეს“ — იგო-
ნებს ვლასა მგელაძე (II, გვ. 111).

ვლასა მგელაძემ ციმბირიდან გამოქცევა მალე მოახერხა და
საიდუმლოდ პეტერბურგში ჩავიდა, ხოლო აქედან კვლავ კავკასია-
ში დაბრუნდა, კერძოდ, კერ ბაქოში, ნოე უორდანისთან. ხოლო
შემდეგ საქართველოში, ქუთაისის გავლით, ჩავიდა გურიაში, ინა-
ხულა მოხუცი დედა, შემდეგ ფოთიდან ნოვოროსიაში ამოყო თა-
ვი, საიდანაც კვლავ პეტერბურგში დაბრუნებულს ვხედავთ. აქ
იშოვა გერმანიის საზღვარზე გადასვლის პასპორტი ეგშტეინის სა-
ხელშე, გაემგზავრა გერმანიაში, სადაც ეწვია კარლ კაუცის და
კარლ ლიბკნეცტს. ორი კვირის შემდეგ იგი გამოეთხოვა გერმანიას
და წავიდა უენევაში გადახვეწილ ქართველებთან.

უენევაში ვლასა მგელაძემ მიიღო მიწვევა მონცელიედან (საფ-
რანგეთი), სადაც სამეურნეო ინტიტუტში სწავლობდნენ ქართველი
სტუდენტები. მონცელიები მოხსენების წაკითხვის შემდეგ, ვლასა
მგელაძე გაემგზავრა ნიცაში, სადაც ტურგენევის ბიბლიოთეკაში
წაიყითხა მოხსენება სპარსეთის რევოლუციაზე.

მერე იტალიაში პლეხანოვის ოჯახი მოინახულა ვლასამ, საი-
დანაც ლოზანაში დაბრუნდა კოტე ანდრონიკაშვილთან. მეორე
დღეს წაიყვანეს მონტროში ნოე უორდანისთან და 1914 წლის აგ-
ვისტოსთვის ვენაში დანიშნულ სოციალისტურ კონგრესის შესახებ
ითათბირეს...

ვლასა მგელაძე იღფროვანებით მიეგება რუსეთის 1917 წლის
თებერვლის რევოლუციას, რომელმაც მოამზადა ნიადაგი ამიერ-
კავკასიის, და კერძოდ, საქართველოს თავისუფლებისათვის. ვლასა
მგელაძეს ვხედავთ იმ დროს გამართულ ყველა ეროვნულ ღონის-
ძიებაზე.

1918 წლის 26 იანვარი ქართველი ხალხის ისტორიაში შევიდა
თბილისის უნივერსიტეტის გახსნის დღედ: „უნივერსიტეტის გახს-
ნაზე ვლასას მიერ წარმოთქმული სიტყვით გამოწვეული აღტაცე-

ბა სალაპარაკოდ იყო დარჩენილი” — წერს რ. ყიფიანი,  1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღესთან დაკავშირებით იგივე რ. ყიფიანი იგონებს:

„26 მაისს, ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს ვლასა მიიმალა და აღარ სჩანდა. ვნახე მხოლოდ გვიან ნაშუადღევს. ჩემს შეკითხვაზე, თუ სად იყო, მიძასუხა:

— მამადავითის ეკლესიაზე ზარს ვრეკავდი; ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, დიმიტრი ყიფიანს თავისუფლება მივულოცე...“ („კავკასიონი“, IX, 1964, გვ. 157)

... საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ვლასა მგელაძე უცხოეთში გადაიხვეშა: მას ჯერ ბერლინში ვხედავთ, ბოლოს პარიზში... აქ იგი შეუდგა ლიტერატურულ საქმიანობას: მისი ნაწარმოებები (პოემა „სამშობლო“, ლექსი „ცხრათვალი მზე“, „გოდება“ — ნაწყვეტი დღიურიდან) გამოქვეყნებულია უურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე, (№ 1-2, პარიზი, 1929; № 4, პარიზი, 1930; № 5, პარიზი, 1930), ხოლო 1934 წელს, პარიზში, დაგით ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა ვლასა მგელაძის მშვენიერი წიგნი „26 მაისი“. მასში შესულია ყველა ის დიდი ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა, მოყოლებული 1887 წლიდან 1918 წლის 26 მაისამდე (დიმიტრი ყიფიანის ვერაგული მკვლელობა (1887 წ.), თბილისის სემინარიის შეგირდების გაფიცვა (1889 წ.), ივანე კერესელიძის გარდაცვალება (1892 წ.), ნიკ. ბარათაშვილის ცხელრის მოსვენება განჯიდან თბილის (1893 წ.), სემინარიის შეგირდების აჯანყება (1893 წ.), ალ. ყაზბეგის გარდაცვალება (1893 წ.), ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალება (1894 წ.), კრწანისის ველის პანშვიდი (1895 წ.) გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალება (1896 წ.), რაფიელ ერისთავის იუბილე (1896 წ.), გიორგი წერეთლის გარდაცვალება (1900 წ.), მუშების ამოძრავება და სხვადასხვა პარტიების დაარსება, ილია ჭავჭავაძის მოკვლა (1907 წ.), აკაკი წერეთლის იუბილე (1908 წ.), ქართველი ერის სულის გამობრწყინება და მისი სამფერვანი დროშის გამოჩინება (1918 წ. 26 მაისი) და სხვ.), რომელებმაც გამოიწვიეს ქართული ეროვნული სულის გამოღვიძება და მოამზადეს 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1936 წელს დაიწყო ვლასა მგელაძის „მოგონებების“ გამოცემა. იმ წელს, პარიზში გამოვიდა პირველი წიგნი, რომელშიც შესუ-



ლია 1921-1924 წლების მოგონება, ხოლო 1972-74 წლებში განვითარდა
ხორციელდა „მოგონებების“ მეორე და მესამე წიგნების გამოცემა
ნი. ისინი შეიცავენ უაღრესად საინტერესო ცნობებს XIX საუკუნ-
ის მიწურულისა და XX საუკუნის I მეოთხედის საქართველოს სა-
ზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ,
ასევე, მეტად საყურადღებო მოგონებებს ილია ჭავჭავაძესა და
აკაკი წერეთელზე. ვლასა მგელაძის ამ წიგნების ჩვენში გამოცემა
მისასალმებელია.

... ვლასა მგელაძე გარდაიცვალა 1943 წელს. დაქრძალულია
პარიზთან ახლოს, დაბა ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ශ අ ර න ම ප ප ප

ප්‍රචාරකීමේ මතිසි	7
දාන්තිංහ යායානිස් තුළුලාස්ථී මතිවෙශීයා	13
ප්‍රාලේඛරූප මූල්‍යාන්ත්‍රය	15
තැපෑලිසිස් සේවනාරියිස් ජ්‍යෙගිරුදෙධිස් ගාසුණුවා	16
පුරාණ ජ්‍යෙගිරුදෙධිස් ගාර්දාප්‍රාලුවා	17
නිය. බාහාතාස්වාලිස් උක්‍රේදාරිස් ගාස්මුන්සුවෙන්දා	18
කොළඹ්‍යානි මූල්‍යාන්ත්‍රය	20
සේවනාරියිස් ජ්‍යෙගිරුදෙධිස් අත්‍යුෂ්‍යයා	23
ඡ්‍යෙෂ්ඨාන්ද්‍රු යාක්දේගිස් ගාර්දාප්‍රාලුවා	27
ජ්‍යෙෂ්ඨ නින්ත්‍යාලිස් ගාර්දාප්‍රාලුවා 1984 ජ්‍යෙෂ්ඨ	28
ජර්ඩ්‍යානිස් යෝලිස් පානාජේදා	31
ඝඩරිපුල ජ්‍යෙෂ්ඨාන්ත්‍රියාලිස් ගාර්දාප්‍රාලුවා	35
භාෂුගුණ යුතිස්ථාපිතියා ප්‍රාදිනුවා	37
කාල්තිස් මත්තරාවෙදා	43
ගැමර්ගි ජ්‍යෙගිරුදෙධිස් ගාර්දාප්‍රාලුවා	44
මුෂ්‍රේධියිස් මත්තරාවෙදා	45
බේග දා බේග පාර්තිපාදියිස් දාඟල්‍යාන්ත්‍රය	47
ඇලුව ආයුර්වේදියිස් මත්තරාවා 1907 ජ්‍යෙෂ්ඨ	51
රුජාජ්‍යානිස් ත්‍රිත්‍ය	53
ඇඟර ජ්‍යෙගිරුදෙධියිස් ප්‍රාදිනුවා	55
සාර්ථකීය ප්‍රාදිනුවා ප්‍රාදිනුවා ප්‍රාදිනුවා ප්‍රාදිනුවා	60
ව්‍යුත්‍යානි ගාමන්ත්‍රියාන්ත්‍රය	68

შეატყარი თ. უთფშიძე
 მხატვარული რედაქტორი ჭ. ზენაიშვილი
 ტექნიკური რედაქტორი დ. რაჭიაძე
 კორექტორი ქ. საყვარელიძე

ჩამოატარდა წარმოებას 15.03.90 წ. სელმოწერილია საბეჭდად
 2.08.90 წ. ფორმატი $60 \times 841/16$ საბეჭდი ქაღალდი № 2
 გარნიტური ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ანაბეჭდი
 ფურცელი 4,65. საალტიცერვო-საგამომცემლო ფურცელი 3,31.
 პირობითი საღებავგარება 4,77. ტირაჟი 30 000 ეგზ. შეკვეთა № 8

ფურცელი № 2 შან. 20 კაბ.

გამოშეცმლობა „მერანი“ რუსთაველის პრ. 42 თბილისი 1990



ВЛАСА МГЕЛАДЗЕ

26-е МАЯ

Исторические очерки

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»

пр. Руставели, 42.

Тбилиси

1990

01005-ის სტამბა. კოოპერატივი „თეგი“ გურამიშვილის ვმ. 74

Тип. ТЭВЗ, кооператив «Теги»

пр. Гурамишвили, 74.

7/12/3

